www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 15 ოქტომბერი, 2012 წელი. | №3136 (229) | ფასი 50 თეთრი

მცხეთობა-სვეტიცხოვლობა

გუშინ საქართველოში მცხეთობა - სვეტიცხოვლობა აღინიშნა. "კვართისა საუფლოსა და სვეტისა ღმრთივბრწყინვალისა და მირონმდინარისას" დღესასწაულთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საღვთო ლიტურგიას დილიდან ასრულებდა. სპეციალურად გუშინდელი დღისთვის მღვდელმსახურები, ბერმონაზვნები და მორწმუნეები სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

განმეორებითი არჩევნები, საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე

გუშინ 11 საარჩევნო უბანზე განმეორებითი მაჟორიტარული არჩევნები ჩატარდა. აქედან ხაშურის 9 უბანზე (№1, № 2, №3, №8, №9, №10, №13, №45, №46) კენჭისყრას ფორმალური ხასიათი ჰქონდა. გაბათილებული უბნების შედეგების გათვალისწინების გარეშე ბლოკ "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების" მაჟორიტარი კანდიდატი ვალერი გელაშვილი კონკურენტს "ნაციონალური მოძრაობიდან," სერგო (ბაჩო) ქიტიაშვილს ისედაც 4 069 ხმით უსწრებდა. ამას ქიტიაშვილის გადაწყვეტილება დაემატა, ჯერ კიდევ პარლამენტის მოქმედმა წევრმა ოპონენტის მხრიდან გამოვლენილი ძალადობის მოტივით კანდიდატურა მოხსნა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

სირია რუსულ კასეტურ ბომბებს იყენებს

ხათუნა გაბიევი

სირიამ თურქეთის სამოქალაქო რეისები შეზღუდა საკუთარ საჰაერო სივრცეში, თუმცა თავად ოფიციალურ ნაკარას სირიის საჰაერო სივრცით სარგებლობაზე თავადვე ჰქონდა უარი ნათქვამი, მით უფრო ბოლო დროს გამწვავებული ურთიერთობების ფონზე. დამასკო კი თავის გადაწყვეტილებას იმ ფაქტით ხსნის, რომ თურქეთმა მოსკოვი-დამასკოს რეისზე რუსული წარმოების იარაღი აღმოაჩინა, რომელიც ასადის რეჟიმისთვის იყო განკუთვნილი.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

თელავის ფესტივალი გრძელდება

სოფიო ნემსაძე

27 სექტემბერს თელავის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, "კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის" ორგანიზებით "მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი" დაიწყო.

ფესტივალის დამფუძნებელი და გენერალური სამხატვრო ხელმძღვანელი ცნობილი ქართველი პიანისტი ელისო ვირსალაძეა. რომლისთვისაც ეს წელი საიუბილეოა. სწორედ ამიტომ მცირე პაუზის შემდეგ განახლებული ფესტივალი ელისო ვირსალაძეს მიეძღვნება.

გაგრძელება
მე-9 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6606⇓
1 ევრო	2.0826⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6294⇓
1 თურქული ლირა	0.9089⇓
100 რუსული რუბლი	5.1422⇓

თბილისი	28°C - 19°C
ქუთაისი	27°C - 18°C
თელავი	28°C - 14°C
ზუგდიდი	27°C - 18°C
ბათუმი	24°C - 19°C

ნავთობი	3.17	+0.04	+1.25%
გაზი	2.79	+0.04	+1.40%
ოქრო	1,689.30	+32.20	+1.91%
ხორბალი	890.50	-12.50	-1.40%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4
საარჩევნო სპორტგადმოცემული მაუწყებელი

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

"იბერია-სტარი" ოთხთა ფინალშია

ბოჯანა ბახაევის ფოტო

აუგუსტომ დუბლი შეასრულა

მდუმარე, რომელმაც ძალიან ბევრი თქვა



ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ახალი ლაორეატი მაო იანი არც ერთ პარამეტრში არ ჯდება: დემოკრატიული საზოგადოების მიერ ჩინური პოლიტიკური სისტემის მწვავე კრიტიკის მიუხედავად, იგი სახელისუფლებო მწერლად რჩება.

2012 წლის გერმანიის წიგნის ბაზრობის მშვიდობის პრემიის მფლობელი, ჩინელი მწერალი ლიაო ივუ აღშფოთებას ვერ მალავდა რამდენიმე დღის წინ ფრანკფურტში, სადაც მას მშვიდობის პრემია გადასცეს: არ მესმის, როგორ შეიძლება ამ პრემიის გადაცემა სახელისუფლებო მწერლისათვის. სულ მთლად დავიბენი, რომ ფასეულობათა სისტემა დასავლეთში ასეთი დიფუზიურია! ჩინეთი დიქტატურაა, სადაც ყოველ მწერალს ევალება, მხარდამჭერად ჰყავდეს საკუთარ სინდისსა და მორალს. მოიანმა ორიოდე თვის წინ ორგანიზება გაუკეთა ერთ პოეტურ კრებულს, სადაც 100-მდე სახელისუფლებო პოეტმა სხვა არაფერი გააკეთა, თუ არა მაო ძე დუნის ნაწერების გადაწერა. მო იანი ასევე მზადაა, დაივიწყოს 1989 წლის 4 ივნისს მოწყობილი სასაკლაო ტიან ანმენის მოედანზე."

ლიაო ივუს თქმით, მო იანს შეუძლია, თავის ნაწერები მაღალი ლიტერტურული სტანდარტებით წარმოაჩინოს, მაგრამ მის ნამუშევრებს არანაირი კავშირი არ აქვს ჩინეთის ისტორიასთან და, უპირველეს ყოვლისა კი, სიმართლესთანო.

გაგრძელება
მე-9 გვერდზე

"საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პოლიტიკური პროცესები და სამომავლო პერსპექტივები"

დღეს, "აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა", ევროკავშირის მხარდაჭერით, მართავს კონფერენციას თემაზე: "საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პოლიტიკური პროცესები და სამომავლო პერსპექტივები". ორგანიზატორების ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული პლატფორმა, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ყველაზე დიდ გაერთიანებას საქართველოში, კონფერენციაზე იწვევს საპარლამენტო პოლიტიკური პარტიების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს.

არჩევნების შემდგომ პირველად, ამგვარ ფორმატში განიხილება ხედვები მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და დემოკრატიის კონსოლიდაციისათვის გადასადგმელ ნაბიჯებთან დაკავშირებით. კონფერენციაზე ასევე განიხილავენ საპარლამენტო ძალებს შორის ურთიერთობებისა და თანამშრომლობის ფორმატთან დაკავშირებულ საკითხებს, უახლოეს მომავალში პოლიტიკური დღის წესრიგის პრიორიტეტულ ამოცანებს და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის სტრატეგიას, ასევე, საერთაშორისო თანამეგობრობის, დონორების და პარტნიორების პრიორიტეტებს და მიდგომებს.

კონფერენციაზე მომხსენებლების სტატუსით სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენელი დავით უსუფაშვილი და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი - გიორგი ბარამიძე. ასევე, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ფილიპ დიმიტროვი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდი და შვეიცარიის ელჩი გიუნტერ ბეჰლერი.

კონფერენცია სატუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გაიხსნება.

მცხეთობა-სვეტიცხოვლობა

პირველი გვერდიდან

რიგით მოქალაქეებთან ერთად, ტაძარში იმყოფებოდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები. მათ შორის, საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი, თბილისის მერი გიგი უგულავა, ასევე, პრემიერობის კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი - ოჯახთან და თანაგუნდელებთან ერთად.

კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს მოსახლეობას მცხეთობა და სვეტიცხოვლობა მიულოცა. ივანიშვილი სვეტიცხოვლის ეზოში შეკრებილ მრევლს გაესაუბრა და ქვეყნის წარმატება და წინსვლა უსურვა.

წირვის დასრულების შემდეგ, ილია მეორემ მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა და დღესასწაული მიულოცა. მან სრულიად საქართველოს უსურვა, სვეტიცხოვლის მადლი და უფლის კვართი ფარავდეს მთელ ქვეყანას.

"დღეს ჩვენ აღვავლენთ ლოცვებს, რათა უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს და აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით. ჩვენ გვჭირდება სულიერი ძალა, სიყვარული, სასოება, იმედი ღვთისა, ადამიანისა და მომავლისა. მრავალჯერ ყოფილა საქართველო განსაცდელში და უფალს და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს უხსნია ამ განსაცდელისგან. არ უნდა შეგვეშინდეს განსაცდელისა, უნდა გვახსოვდეს, რომ განსაცდელს უფალი მას უგზავნის, ვინც უყვარს და საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც უფალმა განსაკუთრებული მადლი მიანიჭა. რომელი ქვეყაანაა ისეთი, რომ ამდენი სიწმინდე ჰქონდეს. აქ არის წმინდა ნაწილები, რომელიც ეკუთვნოდა წმინდა მეფე დავით აღმაშენებლს. როცა ჩვენი მეფეები და დიდებულნი საზღვარგარეთ მიდიოდნენ, მიჰქონდათ წმინდა ნაწილები, იმიტომ, რომ გრძნობდნენ მათ შემწეობასა და წყალობას. დღესაც ამბობენ უცხოელები, რომ განსაკუთრებით იზრდება სარწმუნოება საქართველოში. ეს არ არის დამოკიდებული არც ჩემზე, არც წმინდა სინოდზე - უფალი მეფობს. უფალი ჩვენი იესო ქრისტე მოგვიწოდებს, რათა ვიყოთ სამწყსო უფლისა და უფალი იყოს მწყემსი ჩვენი", - თქვა ილია მეორემ.

პატრიარქმა მრევლთან ერთად წარმოთქვა ლოცვა - "მოწყალებისა კარი განგვიღე" - რომელმაც, როგორც ილია მეორემ აღნიშნა, ქართველი ხალხი მონღოლების შემოსევისას გადაარჩინა.

"ღვთის მადლით და წყალობით ყველაფერი კარგად იქნება, გიხაროდენ ორსავე სოფელსა შინა", - მიმართა მრევლს პატრიარქმა. ქადაგების დასასრულს ილია მეორემ ბერმონაზონი ელიზბარ გურაშვილი ოქროს ჯვრით დაჯილდოვა და იღუმენის ხარისხში აიყვანა.

მცხეთობის დღესასწაულს გუშინ დილიდან მცხეთის ცენტრალურ ქუჩაზეც აღნიშნავდნენ. მცხეთელებმა მოაწყვეს დახლები, სადაც ხილი, ხელნაკეთი ნივთები და ხალხური რეწვის ნიმუშები გამოფინეს. გუშინვე, მცხეთაში გაიმართა ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტები, ხოლო საღამოს მცხეთის ამფითეატრში მცხეთობის სახალხო დღესასწაული ქართული ესტრადის მომღერლებმა კონცერტით დაასრულეს.

გადმოცემის თანახმად, უფლის ჯვარცმის შემდეგ, იესო ქრისტეს კვართი იერუსალიმიდან მცხეთელმა ებრაელებმა ჩამოაბრძანეს და იგი სვეტიცხოველში წმინდა სიდონიასთან ერთად არის დაფლული. წმინდა ნინოს რჩევით კი, IV საუკუნეში მეფე მირიანმა და დედოფალმა ნანამ ამ ადგილზე პირველი ხის ტაძარი ააგეს. V საუკუნის მეორე ნახევარში წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალმა ბაზილიკის ტიპის ტაძარი აღმართა, XI საუკუნეში კი დაზიანებული ბაზილიკის ადგილზე ქართლის კათოლიკოსმა მელქისედეკმა ახალი ტაძარი, სვეტიცხოველი ააგო, რომელიც 12 მოციქულის სახელობისაა. ტაძრის ხუროთმოძღვარი არსუკიძე იყო.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 14 ოქტომბერს წმინდა მოციქულთა სწორის მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას (IV); წმინდა სიდონიასა და აბიათარის (IV) ხსენებასაც აღნიშნავს.

მიწისძვრა საქართველოში

გუშინ, საქართველოში 5,1 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა. სეისმური მონიტორინგის ცენტრის მონაცემებით, ეპიცენტრი ქალაქ წნორიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 13 კმ-ის მანძილზე, სოფელ ულიანოვკაში მდებარეობდა.

მიწისქვეშა ბიძგები სეისმოლოგებმა 10 კმ-ის სიღრმეზე დააფიქსირეს. News.ge-ის ინფორმაციით, ულიანოვკასა და ახლომდებარე სოფლებში გაითიშა ელექტროენერგია. სტიქიამ საცხოვრებელი სახლები დააზარალა. მიწისძვრას ნგრევა არ მოჰყოლია, თუმცა საცხოვრებელი სახლების კედლები დაიბზარა. როგორც სოფლის ერთ-ერთმა მკვიდრმა მარინე ხოსიტაშვილმა განაცხადა, მიწისქვეშა ბიძგების შედეგად მას ჭურჭელი სულ დაემსხვრა.

საქართველოში მიწისძვრა შაბათსაც დაფიქსირდა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრის მონაცემებით, მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ 4,6 მაგნიტუდა შეადგინა. მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრის ეპიცენტრი აზერბაიჯანში, საქართველოს საზღვრიდან 5 კილომეტრის დაშორებით დაფიქსირდა, შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე მიწისძვრა ყველაზე მკვეთრად ლაგოდეხის რაიონში იგრძნეს. მიწისძვრას ლაგოდეხში ნგრევა არ გამოწვევია. სტიქიას არც საკომუნიკაციო საშუალებები არ დაუზიანებია.

თიბისი ბანკი მეანაბრეებისათვის გათამაშებას იწყებს!

განსაკუთრებული პირობები და შეთავაზება თიბისი ბანკის მეანაბრეებს! ისინი, ვინც 9ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გახსნიან ანაბარს თიბისი ბანკში, ჩაერთვებიან საახალწლო გათამაშებაში და ექნებათ შანსი, მოიგონ 10,000, 15,000 და 20,000 ლარი!

გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გახსნათ "ვადიანი", "ვადიანი+", ოქროს, ბონუს ან ანაბარი "ჩემი მიზანი" თიბისი ბანკში მინიმუმ 1,000 ერთეულით (ლარი, აშშ დოლარი, ევრო ან ფუნტი). ყოველ 1,000 ერთეულზე თქვენი 1 ბილეთი განთავსდება დოლურაში.

გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ თიბისი ბანკის არსებული მეანაბრეებიც, რომლებსაც ანაბარი "ჩემი სეიფის" ანგარიშზე გათამაშების დასრულებამდე ყოველი თვის ბოლო რიცხვში არსებული მინიმალური ნაშთი ექნებათ 1,000 ლარი, დოლარი, ევრო ან ფუნტი.

გათამაშება შედგება 2013 წლის 14 იანვარს, საღამოს 20:00 საათზე. გათამაშების მონაწილეებს შეუძლიათ, ონლაინ რეჟიმში, ლაივსტრიმის მეშვეობით, თვალი ადევნონ გათამაშებას, რომელიც თიბისი ბანკის Facebook-ის გვერდზე (facebook.com/TBCBank) გადაიცემა. გათამაშებისას გამოვლინდება სამი გამარჯვებული მეანაბრე, რომლებიც გახდებიან 10,000, 15.000 და 20,000 ლარის მფლობელები!

მაშ ასე, იჩქარეთ, გახსენით ანაბარი თიბისი ბანკში, ისარგებლეთ განსაკუთრებული პირობებით და მოიგეთ 10,000, 15,000 და 20,000 ლარი და დაიწყეთ ახალი ცხოვრება ძველით ახალ წელს!

აქცია გრძელდება 31 დეკემბრამდე!

თიბისი ბანკის განცხადება

თიბისი ბანკმა დღეს გაავრცელა განცხადება, რომელიც უკავშირდება კომპანია "ელიტელექტრონიქსის" ყოფილ მფლობელს, ანზორ ქოქოლაძეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ანზორ ქოქოლაძე ცდილობს ბანკი დააშანტაჟოს - კერძოდ, ითხოვს ბანკისგან "ელიტელექტრონიქსის" აქციების 100%-ს ისე, რომ უარს ამბობს ბანკისგან აღებული სესხის, 11 მილიონის გადახდაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ემუქრება თიბისი ბანკს მისი რეპუტაციისა და სახელის შელახვით.

თიბისი ბანკი მიიჩნევს, რომ ქოქოლაძე უბრალოდ ცდილობს ისარგებლოს ბოლო დროს განვითარებული ცვლილებებით, მოისხას "ჩაგრულის" მანტია, გამოიყენოს მასმედია იარაღად თიბისი ბანკის დაშანტაჟებაში და შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

თიბისი ბანკის მენეჯმენტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ "ანზორ ქოქოლაძე არის ადამიანი, რომელმაც აიღო თიბისისგან და 3 სხვა ბანკისგან 26 მილიონი ლარის სესხები, თავისი არასწორი მართვით მიიყვანა კომპანია იქამდე, რომ სესხები ვერ დაბრუნდა და კომპანია აღმოჩნდა ფინანსურ კრიზისში." ბანკის წარმომადგენელთა თქმით, "თიბისი ბანკი იძულებული გახდა, სესხის სანაცვლოდ გირაოში ჩადებული აქტივები სასამართლო წესით საკუთრებაში მიეღო და გაესხვისებინა საერთაშორისო ინვესტორზე, რათა როგორმე სესხი დაებრუნებინა. შედეგად, კომპანიამ განაგრძო ფუნქციონირება, ბანკმა სესხის მხოლოდ ნაწილი დაიბრუნა და რამდენიმე მილიონი ზარალი მიიღო."

თიბისი ბანკის განცხადებაში ნათქვამია, რომ ბანკი არ აპირებს დაექვემდებაროს ქოქოლაძის შანტაჟს და არ მისცემს მას მედიით მანიპულირების შესაძლებლობას: "მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სამართლებრივად და მორალურად აბსოლუტურად მართლები ვართ, გვსურს არავის და, მათ შორის, არც ბატონ ანზორს არ დარჩეს რაიმე კითხვები ამასთან დაკავშირებით. ამიტომ ჩვენ შევთავაზეთ მას, შანტაჟის ნაცვლად აგვერჩია ისეთი გამჭვირვალე და დემოკრატიული გზები, როგორიცაა დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიება და კერძო არბიტრაჟი. სამწუხაროდ, ქოქოლაძემ ორივე შეთავაზებაზე უარი თქვა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისი მთავარი მოტივაცია სამართლიანობის აღდგენა ნამდვილად არ არის." - ნათქვამია თიბისი ბანკის განცხადებაში.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

განმეორებითი არჩევნები, საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე

პირველი გვერდიდან

თუმცა, ქიტიაშვილმა განცხადება კანდიდატურის ოფიციალურად მოსახსნელად დაწესებული ვადის ამოწურვის შემდეგ გააკეთა და ამიტომ, ბიულეტენში მისი სახელი და გვარიც იყო აღნიშნული. ხაშურში არჩევნებზე დაბალი აქტიურობა იყო. 18:00 საათზე არჩევნებზე ამომრჩეველთა 24 პროცენტი იყო მისული.

გაცილებით დიდ ინტერესს სიღნაღის საარჩევნო ოლქის ვაქირის N5 საარჩევნო უბანზე დანიშნული არჩევნები იწვევდა. "ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარ კანდიდატ ლევან ბეჟაშვილს ცესკო-ს მონაცემებით, N5 გაბათულებული უბნის გამოკლებით, 9688-მა ამომრჩეველმა მისცა ხმა, რაც 48.01 პროცენტია. "ქართული ოცნების" მაჟორიტარმა კანდიდატმა გელა გელაშვილმა კი 9665 ხმით, 47.89 პროცენტი დააგროვა. ბეჟაშვილი ოპონენტს 23 ხმით უსწრებდა. ხოლო, ვაქირის საარჩევნო უბანზე 863 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. აქ დანიშნული განმეორებითი არჩევნები გამარჯვებულს გამოავლენდა. შესაბამისად, სიღნაღში ამომრჩეველთა აქტიურობა ყველაზე მაღალი იყო. 12:00 საათისთვის N5 უბანზე ამომრჩეველთა 34 პროცენტს კენჭისყრაში მონაწილეობა უკვე მიღებული ჰქონდა, 17:00 საათზე - 68.7 პროცენტს.

გორის საარჩევნო ოლქის ჭალის დასახლების N4 უბანზე დანიშნულ არჩევნებს გამარჯვებული მაჟორიტარის გამოვლენაზე გავლენის მოხდენა თეორიულად შეეძლო. ამ უბნის შედეგების გარეშე "ქართული ოცნების" მაჟორიტარი კანდიდატი მალხაზ ვახტანგაშვილი 47.15 პროცენტით ლიდერობდა (32 497 ხმა), გიორგი ტატიშვილს, "ნაციონალური მოძრაობიდან" 46.43 პროცენტი ჰქონდა (32 001 ხმა). გაუქმებულ N4 უბანზე 1 419 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. როგორც ჩანს, ამომრჩევლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ოლქის საბოლოო შედეგი არ შეიცვლებოდა და აქაც ხაშურის მსგავსად არჩევნებმა დაბალი აქტიურობით ჩაიარა.

კენჭისყრასთან ერთად, 1 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებული სადავო საკითხებზე მუშაობა დაასრულდა. გუშინ საარჩევნო ბლოკ "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების" წარმომადგენელი გიორგი ღამბაშიძე ლაგოდეხის N15 საარჩევნო ოლქში საარჩევნო უბნებისთვის გადაცემული დაზუსტებული სიების გადამოწმებას ითხოვდა. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, ღამბაშიძე ლაგოდეხის საარჩევნო ოლქის შედეგების ბათილად ცნობის საკითხს აყენებდა. ცესკო-ს წევრებმა აღნიშნეს, რომ საჩივარი გასაჩივრების წესის დარღვევით იყო შეტანილი და არ განიხილეს. **ეს 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ბოლო საარჩევნო დავა იყო,** - თქვა ცესკო-ს თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა.

საარჩევნო კოდექის თანახმად, ცესკო-მ 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმი არჩევნებიდან არაუგვიანეს მე-19 დღეს უნდა გამოაქვეყნოს.

საკუთარი ინფორმაცია

ივანიშვილი მთავრობის სრულ შემადგენლობას სამშაბათს დაასახლებს

მომავალი მინისტრების შესარჩევად კონსულტაციები კოალიციის ლიდერ ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს-ცენტრში გუშინაც არ შეწყვეტილა. პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატმა დავით უსუფაშვილმა, განხილვის დასრულების შემდეგ, ჟურნალისტებს უთხრა, რომ ივანიშვილი მინისტრთა კაბინეტის სრულ შემადგენლობას, სავარაუდოდ, სამშაბათს დაასახელებს. როგორც უსუფაშვილი დასძენს, მსჯელობა სხვა საკითხებზეც მიმდინარეობს.

ჯერჯერობით უცნობია, ვის შეარჩევენ მომავალ მთავრობაში ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, გარემოს დაცვის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, განსახლებისა და ლტოლვილთა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრების თანამდებობებზე დასანიშნად. დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატი კი სავარაუდოდ გაუქმდება. ამასთან, კოალიცია სხვა სამინისტროების სტრუქტურულ ცვლილებებს გეგმავს.

გუშინ მედიაში მხოლოდ ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრობის სავარაუდო კანდიდატის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია. ტელეარხ "პიკის" ინფორმაციით, ამ თანამდებობაზე მამუკა ნიკოლაიშვილის დანიშვნა იგეგმება. ის ენერგეტიკის მინისტრი ერთელ უკვე იყო. 2003 წელს ნიკოლაიშვილმა დავით მირცხულავა შეცვალა. "პიკის" ცნობით, ამჟამად მამუკა ნიკოლაიშვილი პარიზში ალტერნატიული ენერგიის საკითხებზე მუშაობს. "პიკთან" საუბარში მან დაადასტურა, რომ "ქართულ ოცნებასთან" კონსულტაციები აქვს. როგორც ნიკოლაიშვილი ამბობს, პასპორტის აღების საკითხზე საელჩოსთან პრობლემა შეექმნა და თბილისში ჩამოსვლას ამიტომ ვერ ახერხებს.

საკუთარი ინფორმაცია

მიმდინარე გამოძიება და გახნილი საქმეები

მკვლელობა, თვითმკვლელობა, ჩვილი ბავშვის გარდაცვალების საქმის გამოძიების მსვლელობა, ძარცვაში ბრალდებულის დაკავება - ასეთია ბოლო ორი დღის კრიმინალური ქრონიკა.

მკვლელობა მოხდა ვანის რაიონში. მურად კეკელიძემ, მამიდაშვილი, 57 წლის მარინა ახვლედიანი დანის დარტყმით მიყენებული ჭრილობებით გამოასალმა სიცოცხლეს. გავრცელებული ინფორმაციით, მკვლელობაში ბრალდებული მურად კეკელიძე ფსიქიკურად გაუწონასწორებულია. საქმეს ვანის რაიონის პოლიცია იძიებს.

რაც შეეხება სოფელ კოლაგში დაღუპული 10 თვის ჩვილის გარდაცვალების გამოძიების საქმეს. მომხდარის ოფიციალური ვერსიები ჯერჯერობით არ ხმაურდება. ცნობილია ის, რომ გარდაცვლილი ბავშვის ოჯახის წევრებთან, გუშინწინ, მთელი ღამის განმავლობაში, სამართალდამცველები განმეორებით საგამოძიებო მოქმედებას - დაკითხვას აწარმოებდნენ. საგამოძიებო ჯგუფი გურჯაანში თბილისიდან ჩავიდა.

გავრცელებული ინფორმაციით, 10 თვის ბარბარე რაფალიანცის ოჯახის წევრების დაკითხვა ადვოკატის გარეშე მიმდინარეობდა, რის გამოც დაცვის მხარე პროკურატურისგან იმის გარკვევას ითხოვს, კონკრეტულად ვინ იყვნენ ის პირები, რომლებიც დაკითხვას აწარმოებდნენ. გარდაცვლილი ბავშვის დედამ გურჯაანის პოლიციის სამმართველო უკომენტაროდ დატოვა. გავრცელებული ინფორმაციებით, განმეორებითი დაკითხვისას, ჩვენება შეცვალა გარდაცვლილი ბავშვის დეიდამ.

როგორც ოჯახის ადვოკატები ამბობენ, პოლიციამ ოჯახის წევრებთან დეტალები დააზუსტა. ადვოკატ ლალი ბიწოშვილის განცხადებით, 5 პიროვნება ოჯახში საგამოძიებო პროცესებს იმ დროს ატარებდა, როდესაც იქ არავინ იმყოფებოდა, რის გამოც ადვოკატი განცხადებით პოლიციას მიმართავს.

10 თვის ბარბარე რაფალიანცი, სოფელ კოლაგში, წყლით სავსე ქვევრში გარდაცვლილი 30 სექტემბერს იპოვეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს. საქმე პირად კონტროლზე ყავს აყვანილი შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ ეკა ძღულაძეს.

რაც შეეხება დიღმის მასივის მესამე კვარტალში მომხდარ ინციდენტს. საუბარია ჩამომხრჩვალი მამაკაცის ცხედრის აღმოჩენის ფაქტზე. გამოძიებას ჯერ არ აქვს პასუხი ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას, თუ - მკვლელობას.

გაგარინის ქუჩაზე მდებარე ლომბარდის ძარცვის საქმე გახსნილია და დაკავებულია ძარცვაში ბრალდებული. როგორც გამოძიებამ დაადგინა, დანაშაული ლომბარდის თანამშრომელმა შალვა ხიმიკაძემ ჩაიდინა. სამართალდამცველების ინფორმაციით, ხიმიკაძე დანაშაულს აღიარებს. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 373 მუხლის 2 ნაწილით წაუყენეს.

გამოძიება მიომდინარეობს რუსთავის გზატკეცილზე გუშინ მომხდარ ავარიის ფაქტთან დაკავშირებით. გვიან ღამით ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა.

ავარიის შედეგად დაშავებული ადამიანები სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა ინგოროყვას საავადმყოფოში გადაიყვანეს.

საქართველოსი ექსტრადიციის საკითხის გადაწყვეტას ელოდება ჩერნოგორსკის რაიონში მდებარე საერთო რეჟიმის კოლონიიდან, სასაჯელის ვადის დასრულების გამო გათავისუფლებული 51 წლის ქართველი "კანონიერი ქურდი" დავით ჩხიკვიშვილი. კრიმინალურ წრეებში ჩხიკვიშვილს "დატო სურგუტსკის" სახელით იცნობენ.

თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ანაზღაურება გაიზარდა

პრეზიდენტის ბრძანებულების ცვლილების თანახმად, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეები გაზრდილ ხელფასებს მიიღებენ.

"ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე" ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის გათვალისწინებით, რეგიონების მასშტაბით გამგეობების და საკრებულოების წარმომადგენლების თანამდებობრივ სარგოთა ზედა ზღვარი გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება თბილისისა და ბათუმის გარდა, ყველა თვითმმართველი ქალაქის და მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ხელისუფლებას ეხება.

თვითმმართველ ქალაქებში, სადაც საკრებულოს თავმჯდომარის და მერის თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი 2480 ლარით იყო განსაზღვრული, ახლა ხელფასები 2750 ლარი გახდება. სხვა საჯარო მოხელეთა აქამდე არსებულ და ახალ თანამდებობრივ სარგოებს რაც შეეხება, ბოლო მონაცემებით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი -1500 ლარი - 2150 ლარამდე გაიზარდა; მერის მოადგილისა იყო - 1250 და გახდა - 2050; სამსახურის უფროსის, საკრებულოს აპარატის უფროსის იყო - 900 ლარი, გახდა - 1490 ლარი; თვითმმართველი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის, თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულის თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი იყო - 800 ლარი და 1250 ლარამდე გაიზარდა; საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის იყო - 710 ლარი, გახდა - 1000 ლარი; სამსახურის უფროსის მოადგილის, მერის თანაშემწის, სხვა უფროსი საჯარო თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგო იყო - 550, გახდა - 800 ლარი; უმცროსი საჯარო თანამდებობის პირის იყო - 480 ლარი, გახდა - 580 ლარი.

პრეზიდენტის გადაწვეტილებით, ცვლილებები მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებზეც აისახა: მუნიციპალურ ერთეულებში საკრებულოს თავმჯდომარეებისთვის და გამგებლებისთვის განსაზღვრული 2360-2360 ლარიანი ანაზღაურება ამიერიდან 2650 ლარი იქნება; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისთვის დადგენილი 1100-ლარიანი თანამდებობრივი სარგო 1900 ლარი გახდა; გამგებლის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი აქამდე 900 ლარით იყო განსაზღვრული და ის ახლა 1500 ლარია; სამსახურის უფროსის, საკრებულოს აპარატის უფროსის, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - რწმუნებულის იყო 700 ლარი, გახდა - 1290 ლარი; საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის, საკრებულოს ფრაქციის თავმჯომარის 650-ლარიანი თანამდებობრივი სარგო 1050 ლარამდე გაიზარდა; გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსის 500-ლარიანი ანაზღაურება 810 ლარი გახდა; გამგებლის თანაშემწისთვის, სხვა უფროსი საჯარო თანამდებობის პირისთვის გამოყოფილი 450-ლარიანი ანაზღაურება 790 ლარამდე გაიზარდა; ცვლილება მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოთა უმცროს საჯარო თანამდებობის პირთა შრომით ანაზღაურებასაც შეეხო და მათი 420-ლარიანი ხელფასები 560 ლარამდე გაიზარდა.

"ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე" პრეზიდენტის ბრძანებულებაში განხორციელებული ცვლილებები "საკანონმდებლო მაცნეში" გამოქვეყნდა და უკვე ძალაში შევიდა.

გია ხუხაშვილმა "ქართული ოცნება" დატოვა

ექსპერტი გია ხუხაშვილი ვიწრო პარტიული კუთხით "ქართულ ოცნებასთან" აღარ ითანამშრომლებს და სამოქალაქო სექტორში ბრუნდება.

მისი თქმით, თავიდანვე განაცხადა, რომ აქტიური პოლიტიკური ციკლის დასრულების შემდეგ სამოქალაქო სექტორს, კერძოდ, განვითარების კვლევის ინსტიტუტს დაუბრუნდებოდა.

"პოლიტიკური ამბიციები არასოდეს მქონია. ვუბრუნდები განვითარების კვლევის ინსტიტუტს", - განაცხადა ხუხაშვილმა.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, ექსპერტმა არ გამორიცხა, რომ მომავალში ახალ ხელისუფლებას კრიტიკოსის როლშიც მოევლინოს, რადგან "ახალ მთავრობას ჯანსაღი კრიტიკა სჭირდება".

პური 5 თეთრით გაძვირდა

ნატა ნინიძე

საცალო სავაჭრო ქსელში ქარხნული პური 5 თეთრით, ხოლო თონის პური 10 თეთრით გაძვირდა. ხორბლისა და პურ-პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელის ლევან სილაგავას თქმით, ამის მთავარი მიზეზი მსოფლიო ბაზარზე ხორბლის მარაგის სერიოზული კრიზისია:

"ამ მხრივ, არასახარბიელო ვითარებაა შექმნილი რუსეთში და უკრაინაში. რაც შეეხება ყაზახეთს, იქ მოწეული ხორბლის მოსავალი მცირე არ ყოფილა, მაგრამ დაბალი ხარისხის აღმოჩნდა."

სილაგავას ინფორმაციით, ქართულ ბაზარზე 29-30 ლარიდან 44-45 ლარამდე არის გაზრდილი ერთი ტომარა ფქვილის ფასი. პურის ღირებულების განსაზღვრაში კი 50 პროცენტს სწორედ ფქვილის ფასი შეადგენს.

საქართველოში ყოველთვიურად 70 000-100 000 ტონა ხორბლის იმპორტი ხორციელდება.

გვალვის შედეგად ხორბლის მოსავალი განახევრდა რუსეთშიც. ამგვარი ვითარების გამო მსოფლიო ს ბაზრებზე ხორბლის ფასი, დაახლოებით, 30 პროცენტით გაიზარდა.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში ხორბლის ღირებულება საერთაშორისო ბაზრებზე 25-30%-ით გაიზარდა, თუმცა ფასების მატება ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისიდან შეინიშნება. მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, უკვე შუა ივნისში პურის ფქვილი თითქმის 50 პროცენტით გაძვირდა.

ლევან სილაგაძეს უახლოეს მომავალში პურის ფასის შენარჩუნების შესახებ განცხადების საფუძველს აძლევს ხორბლის ის მარაგი, რომელიც საქართველოს კომპანიებმა ყაზახეთში დემპინგურ ფასად შეიძინეს.

აღმოჩნდა, რომ დაახლოებით ერთი თვის წინ, როდესაც რუსეთმა ხორბლის ფასი გაზარდა, საქართველოს კომპანიებმა მიმართეს მეორე მომწოდებელს, ყაზახეთს, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა რეალიზებული შარშანდელი უხვი მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი:

"ყაზახეთში შედარებით იაფი იყო ხორბალი და მათ ძალაუნებურად უნდა გაეთავისუფლებინათ თავიანთი შესანახი მეურნეობები იმისათვის, რომ ახალი ხორბალი, რომელიც სექტემბერში მოდის, დაებინავებინათ. ამ დროს მოხდა საკმაოდ ნორმალურ ფასად ხორბლის შემოტანა საქართველოში, დაბინავება, და ახლა ჩვენი წისქვილკომბინატები ყაზახეთიდან შემოტანილი ხორბლით მუშაობენ, ანუ ფქვილის ბაზარზე სტაბილურობაა."

ლევან სილაგავა ვარაუდობს, რომ უახლოეს ხანებში მსოფლიო ს ბაზრებზეც სტაბილურობა დამყარდება, რადგან ხორბლის მთავარი მომწოდებლები არ აპირებენ ექსპორტის შეზღუდვას, ხოლო "დიდი ოცეული" ამ სფეროში არსებული პრობლემების დაძლევას ცდილობს:

"მთლიანად სტაბილურდება ფასი. მართალია, მაღალი ფასია, მაგრამ ის სტაბილური ხდება..."

შედარებით პესიმისტურ პროგნოზსს აკეთებს მსოფლიო ბანკის აგრარული სფეროსა და სოფლის განვითარების პროგრამების ყოფილი დირექტორი რობერტ ტომპსონი. მისი აზრით, ამერიკაში გვალვების გამო მოსავლის განადგურების შედეგები სურსათის მსოფლიო ბაზრებზე სრულად რამდენიმე თვეში აისახება.

"ვერაფერი დაამხობს მთავრობას მშიერ ხალხზე უფრო ჩქარაო", - ამბობს რობერტ ტომპსონი, რომელსაც არ უკვირს, თუ რატომ არიან პანიკაში როგორც მომხმარებლები, ისე მთავრობები ამერიკაში გვალვით გამოწვეული მარცვლეული კულტურის მოსავლის შემცირების გამო.

სწორედ მარცვლეულზე ფასების მატება დასახელდა ორიოდე წლის წინ საქართველოში მაღალი ინფლაციის ძირითად მიზეზად, თუმცა ექსპერტთა ნაწილი ირწმუნება, რომ იმდროინდელი სამომხმარებლო ფასების ზრდა ეროვნული ბანკისა და მთავრობის პოლიტიკის დამსახურება იყო.

ახლა, როდესაც კვლავ მოიმატა ხორბლის ღირებულებამ მსოფლიო ს ბაზრებზე, საქართველოში ინფლაცია თითქმის არ შეინიშნება და ის ერთ პროცენტსაც კი არ შეადგენს.

"ფქვილი კი გაძვირდა, მაგრამ პურის ძველი ფასის შენარჩუნებას ვახერხებდით მოგების შემცირების ხარჯზე... მაგრამ თუ ფქვილის ფასი კიდევ მოიმატებს, იძულებული გავხდებით, პურის ფასი გავზარდოთ. ტომარა ფქვილის ფასი გასცდა 40 ლარს, იძულებული გავხდით ფასი 5 თეთრით გაგვეზარდა", ამბობს. მე-4 პურის ქარხნის ხელმძღვანელი მალხაზ დოლიძე.

საქართველოში პურს სხვადასხვა ფასი აქვს და ის წონის, ხარისხისა და შემადგენლობის მიხედვით იცვლება. საცალო ქსელში ყველაზე იაფი პური 40 თეთრი ღირს, მაგრამ მისი წონა 300 გრამს მცირედით თუ აჭარბებს. 500-გრამიანი სტანდარტული პურის ფასი 0,90-1,40 ლარის ფარგლებში მერყეობს. დაბალი ხარისხის პურში მეტია საფუვრისა და წყლის შემცველობა. ასეთი პროდუქტი ძირითადად მოსახლეობის დაბალშემოსავლიან სეგმენტზეა გათვლილი - ვიზუალურად პურს ჰგავს, მაგრამ არც წონა აქვს და არც კვებითი ღირებულება, სამაგიეროდ, იაფია. სხვათა შორის, პურის ფასების შესანარჩუნებლად მწარმოებლები ხშირად მიმართავენ ამგვარ ტექნოლოგიურ ხრიკებს - პურში ფქვილის მოცულობას ამცირებენ სხვა ინგრედიენტების ზრდის ხარჯზე და წონასაც აკლებენ, მოტყუებული კი ისევ მომხმარებელი რჩება.

"დაახლოებით სამი წელია პურის წარმოების სტანდარტზე მსჯელობენ. თუკი ასეთი სტანდარტი დადგინდება, მოხერხდება შედარება - რამდენად შეესაბამება ესა თუ ის პროდუქტი დადგენილ ნორმებს. ჯერჯერობით ამის გაკეთება შეუძლებელია "- ამბობს ლევან სილაგავა.

საქართველო – ინტერნეტისა და მობილური კავშირის ინტეგრირების საუკეთესო მაგალითი

ინტერნეტ ტექნოლოგიების ბაზარი მთელ მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანია. მზარდი მოთხოვნის ფონზე ძალიან საინტერესოა ის ცვლილებები, რომელიც ბოლო ორ წელიწადში საქართველოში განხორციელდა.

საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო კავშირმა ITU-მ წარმოადგინა მორიგი მოხსენება სახელწოდებით «საინფორმაციო საზოგადოების განზომილება," რომლის თანახმადაც მსოფლიოში გაიზარდა მობილური კავშირისა და ინტერნეტის ურთიერთშეღწევადობა. ამჟამად მობილური კავშირის მომხმარებელთა რიცხვმა მსოფლიოში 6 მილიარდ აბონენტს მიაღწია.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ესტონეთი და საქართველო არიან ქვეყნები, რომლებიც აჩვენებენ დინამიურ ზრდას მობილური კავშირისა და ინტერნეტის ინტეგრირების სფეროში.მსოფლიო ტენდენციებს ყველაზე მეტად ჩამორჩებიან აფრიკის კონტინენტის სახელმწიფოები. ევროპაში კი ოჯახების დაახლოებით 70%-ს აქვს ინტერნეტზე წვდომა, ამერიკაში ეს ციფრი 50%-ს აღწევს, დსთ-ში კი 37,3%-ს. არაბეთში ეს მაჩვენებელი 25%-ია, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში გლობალური ქსელით ოჯახების 24,5% სარგებლობს.

ორგანიზაცია Freedom House-ის მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში კი -"თავისუფლება ქსელში 2012" (Freedom on the Net 2012) საქართველო მე-14 ადგილს იკავებს. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში ამ სფეროში ვითარების გამოსწორების ტენდენცია აღინიშნება.

ინტერნეტზე თავისუფალი წვდომის რეიტინგში ესტონეთი, აშშ და გერმანია ლიდერობენ. ანგარიშში ქვეყნები ინტერნეტზე თავისუფალი წვდომის მიხედვით სამ ჯგუფად არიან დაყოფილი - თავისუფლად, ნაწილობრივ თავისუფლად და არათავისუფლად. პირველ ჯგუფში 14 ქვეყანაა შესული.

ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან მასში უკრაინა (12) და საქართველო (14) მოხვდნენ. ნაწილობრივ თავისუფალთა ჯგუფში 20 ქვეყანა შევიდა. ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან მასში აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და რუსეთი არიან, რომელმაც 30-ე ადგილი დაიკავა.

არათავისუფალი ქვეყნების რეიტინგში 13 სახელწიფოა. რეიტინგის ლიდერი ესტონეთი ამჟამად ტექნოლოგიურად მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყანაა. მოსახლეობას ქვეყანაში ხელი ელექტრონულ სერვისზე - "ელექტრონულ მთავრობაზე" მიუწვდება.

ინტერნეტქსელში სიტყვის თავისუფლება დაცულია, მაგრამ ესტონეთში კერძო ინფორმაციის დასაცავად მკაცრი კანონები მიიღეს. აშშ რეიტინგში მეორე ადგილს იკავებს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა ინტერნეტში ჩართული მომხმარებლების რაოდენობით უწინდებურად ლიდერია, ინტერნეტის ტარიფები და სიჩქარე არასახარბიელოა.

ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლება არ იზღუდება და არანაირი აკრძალვა არ არსებობს. ამასთან, კანონით მკაცრად აკრძალულია საბავშვო პორნოგრაფია, არსებობს კანონები პირადი ინფორმაციის გამოქვეყნებასთან და საავტორო უფლების დაცვასთან დაკავშირებით.

ლიდერების სამეულს გერმანია ასრულებს. ქვეყანაში სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები მაღალ დონეზეა განვითარებული. პირველ ათეულში ასევე მოხვდნენ: ავსტრალია, უნგრეთი, იტალია, ფილიპინები, დიდი ბრიტანეთი, არგენტინა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

Freedom House-ის მიერ გამოქვეყნებულ რაპორტში აღნიშნულია, რომ საქართველოში იზრდება ინტერნეტისა და მობილური ტელეფონის მომხმარებელთა რიცხვი, თუმცა ხარისხის გათვალისწინებით მომსახურება ძვირია, ინფრასტრუქტურა კი - არაადეკვატური. 1.3 მილიონი ინტერნეტ მომხმარებლიდან 150,000-ს აქვს მაღალი სიჩქარის ინტერნეტი (b). ინტერნეტის საშუალო გადასახადი თვეში 25 ამერიკული დოლარია, 1 მეგაბიტი/წამში ბროუდბენდ კავშირის მინიმალური ღირებულება კი თვეში 10 დოლარს უტოლდება.

საქართველოში 19 ინტერნეტ-პროვაიდერია. ბაზარზე ლიდერია სილქნეტი 40 პროცენტით, მას მოჰყვება კაუკასუს ონლაინი დაახლოებით 38 პროცენტიანი საბაზრო წილით. 19 პროვაიდერიდან 3 მობილური ოპერატორიცაა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მთავარი სამთავრობო რეგულაციური სააგენტოა. Freedom House-ის აზრით, არ არსებობს კომისიის ობიექტურობაში დაეჭვების საფუძველი. თუმცა კომისია ონლაინ სივრცის, ტრადიციული მედიისა და ტელეკომუნიკაციების საკითხების რეგულაციისთვის ერთსა და იმავე პროცედურებს იყენებს.

სირია რუსულ კასეტურ ბომბებს იყენებს

პირველი გვერდიდან

გუშინ თურქეთმაც აუკრძალა საკუთარ სივრცეში ფრენა სირიის თვითმფრინავებს.

ორი ქვეყნის დავას საავიაციო საკითხზე სახმელეთო პრობლემაც დაემატა. დაახლოებით ერთი კვირის წინ თურქულ დასახლება აღჩაყალზე სირიის იერიშის შემდეგ ანკარას გაძლიერებული აქვს სასაზღვრო დაცვა. საზღვრის მთელ პერიმეტრზე რამდენიმე დღეა თურქული არმიის მძიმე ტექნიკაა მობილიზებული, რასაც ახლა სირიის მხრიდან ტანკების განთავსება დაემატა. სირიის რეგულარული არმიის მძიმე ტექნიკის გადაადგილების ამსახველი კადრები საინფორმაციო საგენტო "როიტერმაც" გაავრცელა. არანაკლებ საგანგაშო ცნობები ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაცია "Human Rights Watch"-მა გაავრცელა. ორგანიზაციის ინფორმაციით, ასადის არმია სულ უფრო ხშირად იყენებს საბჭოური წარმოების კასეტურ ბომბებს თავის ტერიტორიაზე. როგორც ადამიანის უფლებათა დამცველები იუწყებიან, გასული კვირის განმავლობაში ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებმა, სულ მცირე, 20 ავიადარტყმა განახორციელა კასეტური ბომბების გამოყენებით. თუმცა, ამის ამსახველი ვიდეომასალა ძალიან მწირია. ცნობისთვის, სირიას ხელი არასდროს მოუწერია აღნიშნული ტიპის იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ საერთაშორისო კონვენციისთვის.

რაც შეეხება თვითმფრინავს, რომელიც დამასკო-მოსკოვის რეისს ასრულებდა და რომლის ბორტზეც რუსეთის მოქალაქეები იმყოფებოდნენ, სკანდალი დღემდე გრძელდება. თვითმფრინავს თურქეთმა იძულებით დაშვება დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით აიძულა ანკარაში. შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ სამგზავრო თვითმფრინავით რუსეთიდან სირიაში სამხედრო ტვირთის გადატანაც ხდებოდა, რაზეც ოფიციალური კომენტარის გაკეთებას მოსკოვმა საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილება არჩია. რუსეთის საგარეო უწყებამ აღშფოთება იმის გამო გამოთქვა, რომ თურქეთმა თვითმფრინავი 4 საათით დააყოვნა ანკარაში და ბორტზე რუსეთის მოქალაქეების ყოფნის მიუხედავად დროულად საქმის კურსში არ ჩააყენა რუსეთის საკონსულო. ამ ბრალდებაზე თურქეთს პასუხიც ჰქონდა, რომლის მიხედვითაც მგზავრების უსაფრთხოებას არაფერი ემუქრებოდა, რადგან მათ მოსაცდელ დარბაზში მოუხდათ გაჩერება, სადაც სასწრაფო დახმარების ბრიგადაც იყო მობილიზებული ყოველი შემთხვევისთვის. სკანდალზე გამოხმაურება არც ვაშინგტონმა დააყოვნა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა მოსკოვი დამასკოსთვის იარაღის მიწოდების გამო გააკრიტიკა. სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა საგანგებო პრესკონფერენციაზე რუსეთის მოქმედებას "მორალურად გაუმართლებელი" უწოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით რუსეთს საერთაშორისო სამართლის ნორმები არ დაურღვევია, რადგან მას მხარი არასდროს დაუჭერია სირიის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისთვის, ასადისთვის დახმარება მაინც მიზანშეუწონელია. "ჩვენ თითქმის მთელი წელიწადია აღვნიშნავთ, რომ პასუხისმგებლობის მქონე არც ერთი ქვეყანა არ უნდა ეხმარებოდეს ასადის რეჟიმის სამხედრო მანქანას. ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ საქმე სერიოზულ სამხედრო აღჭურვილობასთან გვაქვს", - განაცხადა ვიქტორია ნულანდმა. რუსული მხარის მტკიცებით, თვითმფრინავით მხოლოდ ელექტრონული მოწყობილობა გადაჰქონდათ, რომელიც ანტისაზენიტო სისტემისთვისაა განკუთვნილი. "ჩვენ თურქული მხარისგან საკმარისი და დეტალური ანგარიში მივიღეთ იმის შესახებ თუ რა იპოვეს თვითმფრინავის ბორტზე. ვფიქრობ, პრემიერ-მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა საკმაოდ მკაფიო განცხადებები გააკეთა ამასთან დაკავშირებით", აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. თურქეთის პრემიერის განცხადებით, სამგზავრო თვითმფრინავის ბორტზე სამხედრო ტვირთის არსებობა უკვე არის რუსეთის მხრიდან სამოქალაქო ავიაციის რეგულაციების დარღვევა.

ბიზნესი

ფისკალური ზომების "შერბილების" მომხრე და მოწინააღმდეგე

თინა შავაძე

ამ კვირაში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გლობალური ეკონომიკური ზრდა 2012 წელს 3.5 პროცენტიდან 3,3 პროცენტამდე შეამცირა და აღნიშნა, რომ ეს მაჩვენებელი უარესიც კი იქნება, თუ აშშ და ევროპა კრიზისს ვერ გაუმკლავდებიან.

თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს ვალის კრიზისს ევროპა, ამ საკითხზე მსოფლიოს ლიდერებს შორის აშკარა განხეთქილებაა.

ტოკიოში გამართულ ყოველწლიურ შეხვედრაზე გერმანიის ფინანსთა მინისტრი ვოლფგანგ შოიბლე ღიად დაუპირსპირდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელ კრისტინ ლაგარდს, რომელმაც მოუწოდა ევროპელ პოლიტიკოსებს, ბოლოს და ბოლოს, შეამცირონ ეკონომიკური პროგრამების განხორციელების საქმეში დაწესებული მოთხოვნები, - წერს The Financial Times.

ლაგარდი მკაცრი საბიუჯეტო მოთხოვნების შერბილების მომხრეა, თუმცა შოიბლეს აზრით, ეს მოსაზრება სსფ-ს ოფიციალურ პოზიციას ეწინააღმდეგება. "უფრო მეტიც, მაღალი ვალები ეკონომიკის სწრაფ ზრდას ხელ უშლის. თუ პოლიტიკოსები მკაცრი ზომების გატარებაზე საჯაროდ უარს იტყვიან, ეს ძირს გამოუთხრის ნდობას ბაზრებზე," - განაცხადა შოიბლემ ლაგარდის სიტყვით გამოსვლის შემდეგ.

თავად ლაგარდმა განაცხადა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და ბრიუსელმა სათანადოდ ვერ შეაფასა ხარჯების შემცირების ურაყოფითი გავლენა ეკონომიკის ზრდაზე. თუ გლობალური ეკონომიკის შესუსტება გაგრძელდება, მაშინ საბიუჯეტო ზრდა არ მოხერხდება. უნდა შეიქმნას ავტომატური სტაბილიზატორები, როგორიცაა გადასახადების შემცირება ან სოციალური ხარჯების გაზრდა - ეს დაეხმარება ეკონომიკის ზრდას კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში.

ამის გარდა, ფონდის ხელმძღვანელმა კრისტინ ლაგარდმა თავის გამოსვლაში ევროპასა და ამერიკის შეერთებული შტატებს სირთულეების დაძლევისკენ მოუწოდა და გააფრთხილა, რომ გლობალურ ეკონომიკა იმაზე უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე ექსპერტების ყველაზე პესიმისტური მოლოდინი იყო.

ფისკალური და ვალის პრობლემების მოსაგვარებლად ევროპელ ლიდერებს მოუწევთ, საბერძნეთს დამატებით ორი წელი მისცენ, რათა მან დახმარების პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულოს.

"ჩვენი რეკომენდაციით, პორტუგალიასა და ესპანეთს დამატებითი დრო მიეცა, ახლა იგივე უნდა გაკეთდეს საბერძნეთის მიმართაც. არაერთხელ განვცხადე და ახლაც გავიმეორებ, რომ დამატებით ორი წელი აუცილებელია საბერძნეთისთვის, რათა ამ ქვეყანამ ფისკალური პროგრამის განხორციელება შეძლოს, ანუ ჩვენ განაჩენის გამოტანა ორი წლით უნდა გადავუვადოთ," - ამბობს ლაგარდი.

დეფოლტისგან საბერძნეთმა თავის დაღწევა კრედიტორთა "სამეულისგან" 31,5 მილიარდი ევროს სესხის მიღებით უნდა მოახერხოს. თუმცა ევროკავშირი, ევროპის ცენტრალური ბანკი და საერთაშორიოს სავალუტო ფონდი მზად არიან, აეთენს კრედიტი იმ შემთხვევაში გამუყონ, თუ ქვეყანა საბიუჯეტო თანხებს მკვეთრად შეამცირებს.

საბერძნეთში საბიუჯეტო ხარჯების ნებისმიერი შემცირება გაფიცვებს იწვევს. ამის მიუხედავად, ათენი მზად არის, მომდევნო ორი წლის განმავლობაში, საბიუჯეტო ხარჯები 13,5 მილიარდი ევროთი შეამციროს, თუმცა აცნობიერებს, რომ ხარჯების შემცირება კრიზისს გააღრმავებს და უმუშევრობას გამოიწვევს.

Google-ი ყველაზე სასურველი დამსაქმებელი გახდა

თინა გავაძე

"Google"-ი, "Apple"-ი და "Microsoft"-ი ყველაზე მოთხოვნადი დამსაქმებლების რეიტინგის ლიდერები გახდნენ. რეიტინგი სოციალურმა ქსელმა LinkedIn-მა პირველად შეადგინა, იუწყება RBC.

ქსელმა 2 მილიონამდე კომპანიის ვებ-გვერდებისა და მომხმარებელთან მათი ურთიერთქმედების გაანალიზების შედეგად ასი ყველაზე სასურველი დამსაქმებელი გამოავლინა. "Google"-ის, "Apple"-ისა და "Microsoft"-ის გარდა, პირველ ხუთეულში მოხვდა "Facebook"-ი, ახალ 20 მოთამაშეს შორის კი არის პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელი "Salesforce.com"-ი, ასევე მიკრობლოგების სერვისი "Twitter"-ი, ტურისტული ონლაინ-რესურსი "Expedia" და კონსალტინგური კომპანია "Accenture"-ი.

რეიტინგის ლიდერ კომპანიაში - "Google"-ში მუშაობა ისევე როგორც "Unilever"-სა და "Microsoft"-ში, ყველაზე მეტად მარკეტინგის სპეციალისტებს სურთ. ამ კომპანიებში, ისევე როგორც "Apple"-სა და "Facebook"-ში დასაქმებაზე უმაღლესი სასწავლებლების კურსადმთავრებულებიც ოცნებობენ.

"LinkedIn"-ი პროფესიონალური ნაცნობობისთვის განკუთვნილი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელია მსოფლიოში. მიმდინარე წლის აგვისტოს მონაცემებით, მისი მომხმარებლების რაოდენობა 175 მილიონს აჭარბებდა.

კანადაში ყველაზე მიმზიდველი დამსაქმებლი პროფესიონალებისთვის ენერგეტიკული კომპანია "Suncor Energy"-ი გახდა, ავსტრალიასა და ბრაზილიაში - სამთო კომპანიები "Rio Tinto" და "Vale", ხოლო ინდოეთში - კონსალტინგური კომპანია "Accenture".

ამავდროულად LinkedIn-ის ექსპერტებმა მრეწველობის სექტორის რეიტინგები შეადგინეს. როგორც აღმოჩნდა, ფინანსისტებს უფრო აუდიტორულ ფირმებში: "Deloitte"-ში, "PricewaterhouseCoopers"-სა და "Ernst & Young"-ში, სურთ მუშაობა, ხოლო მარკეტინგის პროფესიონალებს კომპანიებში: "Google`-ში, "Unilever"-სა და "Microsoft"-ში.

რეიტინგის შედეგების კრიტერიუმებს შორის, სხვა ფაქტორებთან ერთად მოხვდა "LinkedIn"-ში კომპანიების ოფიციალური საიტების მონახულების სიხშირე და მათი ხელისმომწერთა რაოდენობა. მთლიანად სიაში "IT" სექტორის წარმომადგენლები დომინირებენ.

0%-დან

შეიძინეთ
ახალი ან მეორადი
ავტომობილი

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

290 90 90
* 90 90
BR.GE

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა
და ხელშეწყობის რეგიონალური
ცენტრი
THE REGIONAL CENTRE FOR RESEARCH
AND
PROMOTION OF CONSTITUTIONALISM

სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

პირველი რეგიონალური ორგანიზაცია კონსტიტუციონალიზმის სფეროში
ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

„კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები"

წაიკითხე → შეიმეცნე → დაიმახსოვრე

ყოველკვირეული რუბრიკა

უძღვება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

მუხლი 77

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით იქმნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს, ადმინისტრაციის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს, ადმინისტრაციის სტრუქტურასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია (შემდგომში – ადმინისტრაცია) იქმნება საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. ადმინისტრაციის ზოგად ხელმძღვანელობას პრეზიდენტი ახორციელებს, სწორედ პრეზიდენტი ადგენს ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებებსა და ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობას. პრეზიდენტის ადმინისტრაცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დებულებით და საქართველოს პრეზიდენტის სხვა სამართლებრივი აქტებით. ადმინისტრაციის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს: საქართველოს პრეზიდენტის მიერ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართვის პირობების შექმნას; პრეზიდენტის კანონშემოქმედებით საქმიანობას, მისი აქტების პროექტების მომზადებას, პრეზიდენტის ხელმოსაწერად წარმოდგენილი კანონების ექსპერტიზას და გამოქვეყნებას; საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებისა და განკარგულებების პროექტების ექსპერტიზას; საქართველოს მთავრობის, სამინისტროებისა და მათი ტერიტორიული ორგანოების მუშაობის კოორდინაციას საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობასთან; აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების, სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ საქართველოს პრეზიდენტის აქტებისა და დავალებების შესრულების საერთო კონტროლს; საქართველოს პრეზიდენტის ინფორმირებას ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ; სახელმწიფო ორგანოების შექმნის, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე პროექტების ან წინადადებების მომზადებას; საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობის ინფორმაციულ-ანალიტიკურ უზრუნველყოფას; საქართველოს პრეზიდენტის ურთიერთობას საქართველოს პარლამენტთან, საქართველოს მთავრობასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მოქალაქეთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან და სხვა ინსტიტუტებთან; ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე პარლამენტში წარსადგენად საქართველოს პრეზიდენტის მოხსენების პროექტის მომზადებას; დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიებისა და იმ სახელმწიფო ორგანოების მუშაობის კოორდინაციას, რომლებიც არ შედიან მთავრობის შემადგენლობაში და კანონმდებლობით საქართველოს პრეზიდენტის გამგებლობის სფეროს მიკუთვნებული სხვა საკითხების რეგულირების ხელშეწყობას.

ადმინისტრაციის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დებულებით და მოქმედი კანონმდებლობით მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

ვერიკო ლატარია
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის სამოქალაქო განათლებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი

მუხლი 78

1. მთავრობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მთავრობა პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.

2. მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო მინისტრი (სახელმწიფო მინისტრები). პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მთავრობის ერთ-ერთ წევრს დააკისროს პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ერთ ან რამდენიმე წევრს – ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება. მთავრობა და მთავრობის წევრები უფლებამოსილებას იხსნიან საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

21. პირველი ვიცე-პრემიერისა და ვიცე-პრემიერის მოვალეობის დაკისრების წესი და უფლებამოსილებები განისაზღვრება კანონით.

3. მთავრობა კონსტიტუციის, კანონებისა და პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებასა და განკარგულებას, რომლებსაც ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი.

4. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებით მოიწვიოს და თავმჯდომარეობდეს მთავრობის სხდომას. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება პრეზიდენტის აქტით.

5. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და კანონით, რომლის პროექტსაც პარლამენტს წარუდგენს მთავრობა პრეზიდენტთან შეთანხმებით.

6. მთავრობა უფლებამოსილია გადადგეს საკუთარი გადაწყვეტილებით.

7. მთავრობის უფლებამოსილება იწყება კონსტიტუციით დადგენილი წესითა და შემთხვევებში მთავრობის წევრების დანიშვნისთანავე.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში საქართველოს მთავრობა არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, იგი მხოლოდ უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. საქართველოს მთავრობის დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხის მიუხედავად, მას ეკისრება პასუხისმგებლობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებისათვის. პრემიერ მინისტრი კონსტიტუციაში მთავრობის თავჯდომარედ არის წოდებული. მინისტრი კი ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას, თვალყურს ადევნებს სამინისტროში შემავალი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს საშტატო განრიგით გათვალისწინებულ საჯარო მოხელეებს, პრემიერ მინისტრს წარუდგენს წინადადებას სამინისტროს წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხებზე. შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები ანგარიშს აბარებენ აგრეთვე საქართვლოს პრეზიდენტს. მთავრობის დადგენილება არის ნორმატიული აქტი, რომლის მომზადების, მიღება-გამოცემისა და ძალაში შესვლის წესი განისაზღვრება ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა აქტები, თუ ისნი ეწინააღმდეგება საქართველოს კონისტუტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს, გარდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის და საქართველოს პროლურატურის უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ საპროკურორო უფლებამოსილების განხორციელებათან დაკავშირებით გამოცემული აქტებისა. საქართველოს პრეზიდენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებზე იწვევს და ხელმძღვანელობს მთავრობის სხდომას, განსაზღვრავს დღის წესრიგს და მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს პრეზიდენტის აქტით. მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, მთავრობის სტრუქტურაში არის მთავრობის კანცელარია. კანონის ან მთავრობის დადგენილების საფუძველზე მთავრობის სტრუქტურაში სხვადასხვა სფეროებში სახელმწიფოებრივი ამოცანებისა და სხვა საჯარო ფუნქციების განსახოცრიელებლად გათვალისწინებულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, დროებითი და მუდმივმოქმედი კომისიებისა და საბჭოების შექმნა. სახელმწიფო მმართველობის სისტემაში, მთავრობის ფუნქციების უმეტესი ნაწილის განხორციელება და გადაწყვეტა ხდება მთავრობის, როგორც კოლეგიური ორგანოს სხდომებზე. პარლამენტის უფლებამოსილება იწყება პარლამენტის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად ნდობის მიღების შემდგომ. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილებას იხსნის საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

აკაკი კუხალეიშვილი
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

ქ.ბათუმი, სარქართველოს ა.მღვლიშვილის. №26
ტელ: (+995 32) 2 72 57 12; (+995 32) 2 72 57 21
WWW.CONSTCENTRE.GOV.GE

მავრიტანიის სამხედრო პატრულმა საკუთარი პრეზიდენტი დაჭრა

ქვეყნის დედაქალაქ ნუაკშოტში მოხდა ინციდენტი, რომლის გამოც შემთხვევით დაიჭრა ქვეყნის პრეზიდენტი მოჰამედ ულდ აბდელ აზიზი. სამხედრო პატრული ვერ გაერკვა სიტუაციაში - ანუ მათ ვერ იცნეს ქვეყნის პრეზიდენტის კორტეჟი და მანქანებს ცეცხლი გაუხსნეს. საბედნიეროდ პრეზიდენტი მხოლოდ ხელში დაიჭრა და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. აბდელ აზიზს წარმატებით ჩაუტარეს სასწრაფო ოპერაცია სამხედრო ჰოსპიტალში, სარეაბილიტაციო-სამკურნალო კურსს ის უცხოეთში გაივლის. პრეზიდენტი გუშინვე გადაიყვანეს პარიზში. სამხედრო ჰოსპიტალი გაძლიერებულ დაცვაზე გადაიყვანეს სპეცსამსახურებმა. თავიდან როდესაც მისი დაჭრის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, ყველამ ეჭვი ისლამისტებზე მიიტანა. კომუნიკაციის მინისტრმა ჰამდი ულდ მაჯუბმა ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ პრეზიდენტი თავს კარგად გრძნობს და ის თვითონ გადმოვიდა მანქანიდან სამხედრო ჰოსპიტალში მიყვანისას.

პრეზიდენტი აბდელ აზიზი მავრიტანიის სათავეში მივიდა სამხედრო გადატრიალების შედეგად 2008 წელს. ერთ წელიწადში მან გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში, რომლის ჩატარებაც მოხერხდა აბდელ აზიზის მიერ პოლიტიკურ ოპონენტებთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ. დასავლეთის სახელმწიფოებში აბდელ აზიზს მიიჩნევენ ისლამისტების სერიოზულ საპირწონედ მთელ რეგიონში. ამ უკანასკნელების პოზიციები განსაკუთრებით ძლიერია მეზობელ მალიში.

ბრიტანეთი 2013 წელს ავღანეთიდან 4500-მდე ჯარისკაცს გამოიყვანს

ქვეყნის თავდაცვის მინისტრის ფილიპ ჰემონდის განცხადების თანახმად უკვე მიმდინარე, 2012 წლის ბოლომდე ავღანეთს დატოვებს 500 სამხედრო პირი და შესაბამისად ბრიტანული კონტიგენტი იქ ცხრა ათას კაცამდე შემცირდება. 2013 წელს იგეგმება კიდევ რამდენიმე ათასი ჯარისკაცის გამოყვანა, მაგრამ ეს არ იქნება იქ არსებული კონტიგენტის ნახევარზე მეტი. ეს ნიშნავს, რომ ბრიტანეთმა ავღანეთიდან გაისად შეიძლება გაიყვანოს 4,5 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე. (მთლიანად ნატოს კონტიგენტმა ავღანეთი 2014 წელს უნდა დატოვოს). ფილიპ ჰემონდი ადრეც აცხადებდა, რომ დიდმა ბრიტანეთმა შეიძლება დააჩქაროს ჯარების ავღანეთიდან გაყვანა იმის მიხედვით, თუ რამდენად მალე იქნებიან მზად ავღანელები პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე ასაღებად. ჰემონდმა ისიც თქვა, რომ ის გაოცებულია ავღანელებისთვის სხვადასხვა ზონების გადაბარების პროცესის სისწრაფით. მხოლოდ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში დიდმა ბრიტანეთმა გილმენდში დახურა 52 ბაზა და ბლოკ-პოსტი. შედეგად იქ ახლა 34 სამხედრო ობიექტია დარჩენილი. ფილიპ ჰემონდის თქმით მთავარი ამოცანა შესრულებულია - "ალ კაიდა" განადგურებულია, ამის შემდეგ კი ჩვენ ვერ მოვითხოვთ სამხედრო მოსამსახურეებისგან სიცოცხლის განირვას ავღანეთის სახელმწიფო მშენებლობისთვის.

გერმანია ირანის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებას მოითხოვს

საგარეო საქმეთა მინისტრმა გვიდო ვესტერველემ მოითხოვა ირანის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრება. მისი სიტყვებით ოფიციალურ თეირანს არ სურს თანამშრომლობა საერთაშორისო თანამეგობრობასთან ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო არსებული კონფლიქტის მოსაგვარებლად. ვესტერველეს სიტყვებით, რადგან ირანი პოზიციას არ ცვლის, საჭიროა მასზე ზეწოლის გაძლიერება. ორშაბათს ირანის ბირთვული პროგრამის საკითხი განიხილება ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე. ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები ამტკიცებენ, რომ ირანი ბირთვულ იარაღს ქმნის, თეირანი კი ამას უარყოფს.

ანტინარკოტიკული ოპერაცია საფრანგეთსა და შვეიცარიაში

17 ადამიანი დაკავეს საფრანგეთში და 3 შვეიცარიაში უმსხვილესი ოპერაციის ფარგლებში. მათ ბრალდებად 40 მილიონი ევროს გათეთრება. ეს ფული კი ნარკოტიკების გასაღებიდან არის მიღებული. დაპატიმრებულთა შორის არის პარიზის მეცამეტე ოლქის ვიცე-მერი ფლორანს ლამბლენი. 9 ადამიანს, მათ შორის მწვანეთა პარტიის წარმომადგენელ ლამბლენს წაუყენეს ბრალდებები ფულის გათეთრებასა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში. დაპატიმრებები მოჰყვა მასშტაბურ გამოძიებას, რომელიც ეხებოდა მარიხუანის კონტრაბანდას მაროკოდან პარიზში. საფრანგეთის პოლიციის ცნობით ეს არის ერთ-ერთი უმსხვილესი ოპერაცია იმის გამოსაძიებლად, თუ როგორ ხვდება ნარკოტიკები ევროკავშირში. მილიონობით ევროა აღმოჩენილი როგორც საბანკო ანგრიშებზე, ასევე ნაღდი ფულის სახით სეიფებში. ფლორანს ლამბლენის ადვოკატმა მედიას განუცხადა, რომ მისი კლიენტი არანაირად არ არის დაკავშირებული გამოძიებასთან და მის მიმართ ბრალდების წაყენება "მართლმსაჯულების შეცდომის" შედეგია.

ლვოვში უკრაინის ამხოხებულთა არმიის 70 წლიანი იუბილე აღნიშნეს

ნაციონალისტებმა და ანტისაბჭოთა მოძრაობის ვეტერანებმა ლვოვში სამდღიანი ზეიმით აღნიშნეს უკრაინის ამხოხებულთა არმიის (უაა) შექმნის 70 წლის იუბილე. ზეიმი პარასკევს დაიწყო და კვირას დამთავრდა. საზეიმო პროგრამის ფარგლებში გაიხსნა უკრაინის გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის მუზეუმი. პარასკევს ვეტერანები ლვოვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ დააჯილდოვა სამახსოვრო სამკერდე ნიშნებით, კვირას ლვოვში გაიხსნა "უაა"-ს მეომართა ძეგლი, გაიმართა "უაა-ს დიდების მარში", აგრეთვე "უაა"-ს და "ენ-კა-ვე-დე"-ს ცნობილი ბრძოლის ისტორიული რეკონსტრუქცია.

მოამზადა ივა შილაკაძემ

რუსეთში ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა

ივა შილაკაძე

კვირას რუსეთის 83 რეგიონიდან 77-ში ჩატარდა სხვადასხვა დონის ადგილობრივი არჩევნები. თითქმის 8 წლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაშვებულია ოლქების გუბერნატორების არჩევა და გუშინ რუსეთის ფედერაციის ხუთ სუბიექტში ტარდებოდა პირველი პირის არჩევნები. ეს არის: ამურის, ბრიანსკის, ბელგოროდის, ნოვგოროდის და რიაზანის ოლქები. ძალიან დიდი ყურადღება ექცეოდა მერის არჩევნებს მოსკოვის სატელიტ პატარა ქალაქ ხიმკიში, რომელსაც მედიაში მოსწრებულად უწოდეს "სრულიად რუსეთის მასშტაბის მერი".

4848 სხვადასხვა დონის არჩევნებსა და რეფერენდუმებში მონაწილეობა უნდა მიეღო 22 მილიონ ამომრჩეველს, რაც შეადგენს ხმის უფლების მქონე რუსეთის მოქალაქეთა მეხუთედს. ექვს რეგიონში: ოსეთში, უდმურტიაში, კრასნოდარის მხარეში, პენზის, სარატოვის და სახალინის მხარეებში ირჩევდნეn რეგიონულ პარლამენტებს, კალინინგრადში ირჩევდნენ ქალაქის თავს. მოსკოვის ოლქში ხიმკის გარდა კიდევ 16 რაიონში ირჩევდნენ მერებს და ადგილობრივ დეპუტატებს. არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა 59676 ადამიანმა, მათგან დაარეგისტრირეს 57175 კაცი.

პრინციპში არსად და განსაკუთრებით გუბერნატორების არჩევნებში პოლიტოლოგები და ექსპერტები სიურპრიზებს არ ელოდებოდნენ. ვარაუდობდნენ, რომ გაიმარჯვებდნენ ხელისუფლების კანდიდატები, ან უკიდურეს შემთხვევაში მათ "გაამარჯვებინებდნენ".

არჩევნების მიმდინარეობის შესახებ დიამეტრულად განსხვავებული ინფორმაცია მიდიოდა მედიამდე ხელისუფლებიდან და არჩევნებზე დამკვირვებელი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან. შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა იური დემიდოვმა განაცხადა, რომ არჩევნები ტარდება მშვიდ ვითარებაში, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისგან განსხვავებით ხმის მიცემა მიმდინარეობს უფრო ცივილიზებულად და მშვიდად. სულ სხვა შთაბეჭდილება რჩებოდათ დამკვირვებლებს. უკვე დღის განმავლობაში იყო მონაცემები უამრავი დარღვევის შესახებ. გამოყენებულ იქნა რუსეთისა და საერთოდ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების უმრავლესობისთვის მთელი "ტრადიციული პაკეტი" არჩევნების გასაყალბებლად: გაურკვევლობა სიებში, ბიულეტენების შეკვრების ჩაყრა, "კარუსელები", აგიტაცია უბნებთან, ამომრჩეველთა ავტობუსებით მიყვანა ხმის მისაცემად, სხვა უბანში (არა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) ხმის მიცემის დოკუმენტის ე.წ. "ოტკრეპიტელნი" მოწმობის ქუჩებში დარიგება, დამკვირვებლებისთვის მუშაობაში ხელის შეშლა და სხვა. მაგალითად იჟევსკში სხვა ბიულეტენები მიიტანეს და ხალხი სხვის კანდიდატებს აძლევდა ხმას. საინტერესოა, რომ დღის პირველ ნახევარში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა ვლადიმირ ჩუროვმა მხოლოდ გაუმართავი შუქნიშანი აღმოაჩინა, რომელმაც მას ხელი შეუშალა ერთ-ერთ უბანში დროულად მისვლაში.

საინტერესო ვითარება იყო ბრიანსკში. იქ მმართველი პარტიის წარმომადგენელი, მოქმედი გუბერნატორი ნიკოლაი დენინი არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე სასამართლომ მოხსნა არჩევნებიდან (ადვილი წარმოსადგენია როგორი თვალსაჩინო დარვევები იყო მის დოკუმენტებში). მისდამი "სოლიდარობის ნიშნად" ყველა კონკურენტმა მოხსნა კანდიდატურა კომუნისტების წარმომადგენლის ვადიმ პოტომსკის გარდა. სასამართლომ ბოლო წუთში დააბრუნა დენინი და გუბერნატორის არჩევნები გარანტირებულად ერთ ტურად ტარდება. კომუნისტებმა ქალაქში აღმოაჩინეს "ოტკრეპიტელნების" ქუჩაში, პირდაპირ მანქანიდან დარიგების ფაქტი. სცადეს ამისთვის ხელის შეშლა. "დამნაშავეთა" მერსედესი ადგილიდან სწრაფად დაიძრა, კაპოტზე ჩაჭიდებული კომუნისტების წარმომადგენელი სამას მეტრზე ათრია და შემდეგ "ჩამოაგდო". ტულის ოლქის ერთ-ერთ ქალაქში კომისიის წევრმა "იაბლოკოდან" ლიუდმილა ეგოროვამ აღკვეთა ბიულეტენების შეკვრის ურნაში ჩაყრის ფაქტი, ამას ორი ახალგაზრდა ცდილობდა. ეგოროვამ მათ 80 ბიულეტენი წაართვა, ინციდენტის გამო უკვე იქ მისული პოლიციელების თვალწინ კი ახალგაზრდებმა კომისიის წევრისთვის ბიულეტენების ისევ წართმევა სცადეს და ამ "ჭიდაობაში" თითი მოსტეხეს...

დღის მეორე ნახევარში უკვე გამოჩნდა წინასწარი შედეგები რუსეთის აღმოსავლეთის ოლქებიდან, სადაც უბნები ადრე დაიხურა. "ედინაია როსიამ" განაცხადა, რომ მათი წარმომადგენლები ლიდერობენ სახალინის საოლქო დუმის, აგრეთვე ქალაქების ვლადივოსტოკისა და პეტროპავლოვსკ-კამჩატკის პარლამენტებში.

ყველაზე დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა ქალაქ ხიმკიში, სადაც 13 კანდიდატი იბრძოდა მერობისთვის. მთავარი კონკურენტები იყვნენ "ედინაია როსიას" წარმომადგენელი ოლეგ შახოვი და ეკოლოგიური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ხიმკის ტყის დამცველი და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ევგენია ჩირიკოვა. მას მხარს უჭერდა თითქმის მთელი ლიბერალური ოპოზიცია და ინტელიგენციის დიდი ნაწილი. მათ შორის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი მილიარდერი პროხოროვი, ცნობილი რეჟისორი ელდარ რიაზანოვი და სხვები. ხიმკიში თითო უბანზე იმყოფებოდა 15-17 დამკვირვებელი, რომელთა შორის იყო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ალეკსეი ნავალნიც. მიუხედავად ასეთი ინტერესისა დილიდანვე დაფიქსირდა უამრავი დარღვევა, მათ შორის სიებთან დაკავშირებით, რაზეც მედიასთან ნავალნიმაც ისაუბრა. საღამოს, უბნების დახურვამდე "ვციომ"-მა გამოაქვეყნა ნახევარი დღის გამოკითხვის შედეგები, რომლის თანახმადაც ლიდერობდა ოლეგ შახოვი 43 პროცენტით, ჩირიკოვას კი 20 პროცენტი ჰქონდა.

რუსეთის არჩევნების შედეგებს ჩვენ ხვალ ისევ დავუბრუნდებით.

აშშ უმცროსი ბაკიევის ექსტრადაციას მოითხოვს

ყირგიზეთის გაძევებული პრეზიდენტის ყურმანბეკ ბაკიევის ვაჟი მაქსიმ ბაკიევი, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ს ხელისუფლების მოთხოვნით დააკავეს. აშშ ცდილობს მიაღწიოს ბაკიევის ექსტრადაციას, რადგან მას ბრალად ედება თაღლითობა.

სამართალდამცავების ცნობით, პარასკევს 34 წლის ბაკიევი გამოძახების შემდეგ თავად გამოცხადდა ლონდონის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რაიონის, ბელგრავიას პოლიციაში. რის შემდეგაც ის დააპატირეს და იმავე დღეს წარადგინეს სასამართლოს წინაშე.

აშშ-ში მას ბრალად ედება დანაშაულებრივ გარიგებაში მონაწილეობა, რომლის მიზანიც იყო თაღლითობაფასიანი ქაღალდებით და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა. ბიშკეკში აშშ-ს საელჩომ დაადასტურა, რომ აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტი ცდილობს მიაღწიოს მაქსიმ ბაკიევის ექსტრადაციას. "შეერთებულმა შტატებმა თხოვნით მიმართა გაერთიანებულ სამეფოს, ბატონი ბაკიევის ექსტრადაციის საკითხზე, იმისთის, რომ განიხილონ აშშ-ს ფედერალური სასამართლოს მიერ წაყენებული სერიოზული ბრალდებები" - ნათქვამია საელჩოს განცხადებაში. გასამართლების შემთხვევაში ბატონ ბაკიევს ელის ხანგრძლივი პატიმრობა.

ამ დროისთვის უცნობია ბაკიევის რეაქცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

ყირგიზეთში ხელისუფლების ბოლო ძალადობროვი შეცვლის შემდეგ, მაქსიმ ბაკიევი 2010 წელს ინგლისში ჩავიდა, სადაც ინტერპოლმა, ყირგიზეთის ახალი ხელისუფლების მოთხოვნით, ლონდონის აეროპორტშივე დააკავა, დაკავებიდან მალევე ბაკიევი გაათავისუფლეს და როგორც შემდეგ ცნობილი გახდა, მას დროებითი თავშესაფარიც მისცეს.

პრეზიდენტმა ყურმანბეკ ბაკიევმა ყირგიზეთი დატოვა 2010 წლის აპრილში და ბელარუსს შეაფარა თავი. ეს მოხდა დედაქალაქ ბიშკეკში და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის სხვა ქალაქებში მასობრივი არეულობების შემდეგ. მას და მისი ოჯახის წევრებს ყირგიზეთში ბრალად სდებენ სხვადასხვა დანაშაულებებს, მათ შორის მასობრივ მკვლელობებს. 2010 წლის აპრილის არეულობების შედეგად დაიღუპა 90 ადამიანი, როდესაც სახელისუფლებო ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს დემონსტრანტებს. თუმცა ყურმანბეკ ბაკიევი უარყოფს რაიმე სახის კავშირს ძალადობასთან.

ყირგიზეთის განდევნილი პრეზიდენტის შვილს ბრალად ედება მილიონობით დოლარის მოპარვა, ქვეყნის ხაზინიდან. მამის მმართველობის პერიოდში ის ხელმძღვანელობდა განვითარების, ინვესტიციებისა და ინოვაციების ცენტრალურ სააგენტოს.

ყირგიზეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის ალმაზბეკ ატამბაევის (ის 2011 წლის დეკემბერში ჩაუდგა ქვეყანას სათავეში) პრესსამსახური, ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ბაკიევის დაპატიმრებას. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ბაკიევი დააპატიმრეს ყირგიზეთის და ამერიკის მხარეების თხოვნით, "მძიმე დანაშაულებების ბრალდებით". მაგრამ იქვე მითითებული იყო, რომ ბიშკეკსა და ლონდონს არ აქვთ გაფორმებული შეთანხმება ექსტრადაციის შესახებ, ამის გამო ამ ეტაპზე ბაკიევის ყირგიზეთისთვის გადაცემის საკითხი არ განიხილება.

ბი-ბი-სის მიზედვით მოამზადა სალომე ჯანიაშვილმა

მდუმარე, რომელმაც ძალიან ბევრი თქვა

პირველი გვერდიდან



მო იანისათვის ნობელის პრემიის მინიჭებას ფარნკფურტის წიგნის ბაზრობაზე თავმოყრილი სამწერლო საზოგადოება სხვადასხვაგვარად შევხვდა. თუკი 85 წლის გერმანელი მწერალი მარტინ ვალზერი ჩინელ ნობელიანტს თანამედროვეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მწერალს უწოდებს და ფოლკნერის გვერდით აყენებს, 2009 წლის ნობელიანტმა ჰერტა მიულერმა ფრანკფურტში საჯაროდ აღნიშნა, რომ მო იანი მისი ფავორიტი არ ყოფილა. ლიტერატურის კრიტიკოსი დენის შეკი მო იანს ლიტერატურის ცაზე ახალ ვარსკვლავს უწოდებს, რომელიც მუდამ ჩვენი თანამდევი იქნება.

მწერალი და კრიტიკოსი ელკე ჰაიდენრაიხი ამ პრემიის მო იანისთვის მინიჭებას პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ეს ისედაც პოლიტიკური პრემიაა და მას არც გაჰკვირვებია მო იანისთვის მისი მინიჭება. მას ისიც არ სჯერა, რომ მო იანი პოლიტიკურად შესაფერისი ავტორია. ჩინელი მწერალი და მოქალაქეთა უფლებების დამცველი იუ ჯი მწვავე სიტყვებს არ იშურებს: ვფიქრობ, ნობელის პრემია არ უნდა გადაეცეს ადამიანს, რომელიც მაო ძედუნს უმღერის, რაოდენ პოპულარულიც არ უნდა იყოს მისი ნაწარმოებები," - წერს ის საერთაშორისო პენ-კლუბის ვებგვერდზე.

"მდუმარე" - ასე ითარგმნება ჩინურიდან ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ახალი მფლობელის მო იანის სახელი. ეს ლიტერატურული ფსევდონიმია, რომელიც გუან მოიემ 2009 წელს დაირქვა, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მონაწილეობის მიღებამდე, სადაც იგი თავის ქვეყანას წარმოადგენდა. მაშინ ერთ-ერთი დიდი გერმანული გაზეთი წერდა : მო იანს ლაპარაკი აუკრძალეს," რის შემდეგაც მო იანს არანაირი ინტერვიუ აღარ მიუცია.

მისი დუმილის მიზეზი კი იყო არა ცენზურისადმი შიში, არამედ მწერალი ჟურნალისტებზე იყო გაბრაზებული. ის ერთ რომელიმე ჩარჩოში უნდა მოქცეულიყო: ან სახელმწიფო მწერალი უნდა ყოფილიყო, ანდა დისიდენტი. და როცა მან ჩინურ დელეგაციასთან ერთად პროტესტის ნიშნად დატოვა საჯარო გამოსვლა, სადაც ჩინელ დისიდენტებს უნდა წარმოეთქვათ სიტყვა, ამით საკუთარი პოზოცია ღიად დააფიქსირა.

მო იანი 1955 წელს დაიბადა აღმოსავლეთ ჩინეთის პროვინცია შანდონგში, სოფელ გაომიში. ხშირად სწორედ აქ თამაშდება მისი ნაწარმოებების ისტორიებიც. მის წიგნებში მართლაც ვერ შეხვდებით კრიტიკას ჩინეთის პოლიტიკური სისტემის მიმართ, როგორც, მაგალითად, ნობელის პრემიის 2000 წლის ლაურეატი ჰაო შინ ჯიანია, ანდა წლევანდელი წიგნის ბაზრობის მშვიდობის პრემიის მფლობელი ლიაო იუი, რომელთაც ჩინელები თითქმის არ იცნობენ. მო იანის წიგნები კი, შეძლება ითქვას, ბესტსელერებს წარმოადგენს ჩინეთში.

დღეს ჩინურ ლიტერატურას ყველაფერზე წერა შეუძლია, რისი სურვილიც ექნება, თავისებური შეზღუდვები კი ყველა ქვეყანაშიაო, - უთხრა მო იანმა ჟურნალ თაიმსს." მწერალი ხომ მოვალეა, თავისი აზრები ნებისმიერ შემთხვევაში ღრმად დამარხოს და ყურადღება სახასიათოზე გაამახვილოსო. მან უმეტესად ტრაგიკომიკური ხასიათის წყალობით შეძლო, რომ ჩინელებისათვის ახლოს მიეტანა მათი წარსული. მისი რომანების სიუჟეტები, ძირითადად, ისტორიულ ჩინეთში თამაშდება. რომანი სანდალუზის ხის სასჯელი" 1899 წლის ჩინეთზე გვიყვება, როცა მოკრივეთა აჯანყება მოხდა. მო იანი აღწერს კორუფციითა და სიხარბით დაავადებულ საზოგადოებას და მათ წერის ვულგარული და სასტიკი მანერით ამხელს. წიგნში პარალელურად აღწერილია დასავლელი კოლონიზატორების შესვლა ჩინეთში, რომლებიც იგნორირებას უკეთებდნენ ჩინურ კულტურას.

წიგნი ზიზღი"კი მე-20 საუკუნის ჩინეთს ეძღვნება, სადაც კრიტიკული ტონიც ისმის. მაოს დროს ლიტერატურა იარაღი იყო რევოლუციისათვის და მწერლებს საზოგადოება ისე უნდა წარმოედგინათ, როგორც ეს სოციალისტურ სურათს შეეფრებოდა,"- განაცხადა მან ფრანკფურტში 2009 წელს.

თავის, როგორც მწერლის, მოვალეობას იგი იმაშიც ხედავს, რომ ეს ისტორიულად დამახინჯებული ხედვა შეცვალოს. თავისი გმირების დახმარებით იგი გვიყვება იმ ტკივილებზე, სისასტიკესა და აკრძალვებზე, რაც მაო ძე დუნის ხანას ახლდა და რაც დღევანდელი ჩინეთის ხელისუფლებასაც არ აკლია. კიდევ უფრო მეტად გამოკვეთილად საუბრობს იგი 2010 წელს გამოცემულ რომანში ბაყაყი". აქ იგი აკრიტიკებს ჩინეთის ერთი შვილის" პოლიტიკას. თუმცა, როგორც სახელისუფლებო მწერალს, მას ამის უფლება არ აქვს. მწერლები საზოგადოების მკურნალები არიან, - ამბობს იგი 2009 წელს მიცემულ ინტერვიუში, - ჩვენი ვალია, აღმოვაჩინოთ მათი დაავადებები, მათ შორის, მთავრობისაც. მხოლოდ ლიტერატურას შეუძლია, საკუთარ თავს ნამდვილი კრიტიკისა და მხილების უფლება მისცეს."

მისი ისტორიები, იაპონელი მწერლის ჰარუკი მურაკამის მსგავსად, მაგიური რეალიზმის სტილშია დაწერილი, რაც ევროპელ მკითხველს, ერთი შეხედვით, უჩვეულოდ შეიძლება მოეჩვენოს. ჩინეთში მას კაფკასა და ფოლკნერს ადარებენ. მო იანი კრეატიული მთხრობელია, მისი წიგნები დაწერილია როგორც ხალხური ოპერა - გუნდით და სოლო არიებით; ანდა, მაგალითად, წარმოადგენს დიალოგს ჯოჯოხეთში, სადაც მიწის მფლობელი განწირულია იმისათვის, რომ ხელახლა დაბადებისას ღორი იქნება. სწორედ ამგვარი უცნაურობებია, რამაც მისი რომანები აღმოჩენად აქცია. ასე ფიქრობს, მაგალითად, გერმანელი მწერალი მარტინ ვალზერი, მაო იანის დიდი მხარდამჭერი და ბერლინის კინოფესტივალის ჟიურიც, რომლის რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი წითელი ყანა" ოქროს დათვით დააჯილდოვა.

არა მხოლოდ ჩინეთშია ადამიანი, რომელსაც ბევრი რამ აქვს სათქმელი, თუკი მას მოუსმენენ. მო იანი მდუმარე" სულაც არ არის. ის, უბრალოდ, ხმამაღლა არ ლაპარაკობს," - წერს გერმანული პრესა. ჩვენ კი, ქართველი მკითხველები დასკვნებს ალბათ მას შემდეგ გამოვიტანთ, როცა მო იანის ერთ რომელიმე ნაწარმოებს მაინც წავიკითხავთ. სიმართლე, რაც უნდა დაიფაროს ანდა შელამაზდეს, სტრიქონებს შორის მაინც ჟონავს ხოლმე, კონტექსტი კი მუდამ მრავლისგანმსაზღვრელია. ვის ვის და, ჩვენ მაინც, პოსტსაბჭოთა მკითხველს ეს არ გვესწავლება.

თელავის ფესტივალი გრძელდება

პირველი გვერდიდან

2012 წლის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში ფესტივალის დამაარსებლის, თანამედროვეობის გამოჩენილი პიანისტის - ელისო ვირსალაძის საკონცერტო მოღვაწეობის 50 წლისთავს ეძღვნება. მელომანები 18-21 ოქტომბერს თელავში გაატარებენ. ვიდრე ახალ პროგრამაზე მოგახსენებდეთ, თვალი განვლილ ღონისძიებებს გადავავლოთ:

ფესტივალი ტარდება რეკონსტრუირებულ, განახლებულ თელავში. თელავის ვაჟა-ფშაველას სახ. დრამატული თეატრის ფოიეში მიმდინარეობს ელისო ვირსალაძისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელზეც საქართველოს თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ექსპონატებია წარმოდგენილი; 19 ოქტომბერს გაიმართა წიგნის - "ელისო ვირსალაძე" - პრეზენტაცია.

ფესტივალის გახსნის კონცერტი 27 სექტემბერს შედგა, ხოლო საზეიმო დახურვა - 21 ოქტომბერს მოხდება. წლევანდელი ფესტივალის ფარგლებში სულ 6 კონცერტი გაიმართება, აქედან სამი - საერთაშორისო საფესტივალო ორკესტრის თანხლებით. ორკესტრი საგანგებოდ ფესტივალისთვის დაკომპლექტდა და მასში მაღალპროფესიონალი მუსიკოსები უკრავენ. ფესტივალს უძღვებიან დირიჟორები ანატოლი ლევინი და აღმოჩენა, 18 წლის ტიმურ ზანგიევი (ჩრდილოეთ ოსეთი), რომელსაც ასაკის მიუხედავად ევროპელი მსმენელი კარგად იცნობს.

ფესტივალში მონაწილეობას იღებენ მუსიკოსები საქართველოდან, გერმანიიდან, ბულგარეთიდან, აზერბაიჯანიდან, შვეიცარიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, სომხეთიდან, კორეიდან, პორტუგალიიდან, ესპანეთიდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან.

2012 წლის ფესტივალი გამოირჩევა სოლისტების განსაკუთრებული შემადგენლობით, მათ შორის: ელისო ვირსალაძე, კოლა (ლუკას ნიკოლაი) ბლაჰერი, ლიზა ბათიაშვილი, ბორის ბერეზოვსკი, ინგოლფ ტურბანი, ნატალია გუტმანი, ედუარდ ბრუნერი.

საფესტივალო საღამოები მსმენელს მრავალფეროვან პროგრამას სთავაზობს, რომელშიც მსოფლიო კლასიკური მუსიკის შედევრებია შესული. ფესტივალს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია და დიდი ტრადიციები აქვს. ელისო ვირსალაძის მიერ 80-ან წლებში დაარსებულ ფესტივალს (სახელწოდებით "ქება ვაზისა") ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ანალოგი არ მოეძებნებოდა, არც ფორმატით (კონცერტების სერია და მასტერკლასები), არც მონაწილეთა შემადგენლობით. შემდგომ, ქვეყანაში არსებული ვითარებისა და ობიექტური მიზეზების გამო, ფესტივალი აღარ ჩატარებულა.

2010 წლის ოქტომბერში, თითქმის ოცწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ელისო ვირსალაძის ინიციატივით, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში განახლებული სახით (ასევე, სახელწოდებით) აღდგა. სპეციალურად ფესტივალისთვის სახელმწიფომ "Steinway & Sons"-ის საუკეთესო ორი საკონცერტო როიალი შეიძინა. წელს კლასიკური მუსიკის ფორუმი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება. გენერალური სპონსორია კომპანია "კავკასუს ონლაიანი", რომელიც ფესტივალის ონლაინ ჩვენებას უზრუნველყოფს ვებგვერდზე www.co.ge .

18 ოქტომბერის კამერული მუსიკის კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ელისო ვირსალაძე, ნატალია გუტმანი, ინგოლფ ტურბანი, ედუარდ ბრუნერი, ნოდარ ჟვანია, გია ქობულაშვილი, მიხეილ ქართველიშვილი, იანგ-ჯი ბაეკი, ჯააკო ლუომა, ზორა სლოკარი. პროგრამაშია იქნება: მოცარტი - დივერტისმენტი KV 229 სი ბემოლ მაჟორი მოცარტი - კვინტეტი #K452 მი ბემოლ მაჟორი. ბეთჰოვენი - სეპტეტი თხზ.20 სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტებისათვის

20 ოქტომბრის კონცერტზე შევხვდებით ისევ ელისო ვირსალაძეს, ინგოლფ ტურბანს, ნატალია გუტმანს, ნოდარ ჟვანიასა და მარია კაგანის. შეგვისრულებენ ბრამსის საფორტეპიანო კვინტეტს. ხოლო 21 ოქტომბერს, ფესტივალის დასკვნით კონცერტზე შესრულდება მოცარტი - სინფონია კონჩერტანტე შოპენი - კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის #1 მი მინორი შუმანი - კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის. მომავალ წლამდე ამ საღამოს გამოგვემშვიდობებიან ელისო ვირსალაძე, ლუკას ნიკოლაი ბლაჰერი ედუარდ ბრუნერი, გია ქობულაშვილი, ჯააკო ლუომა, ზორა სლოკარი

ბილეთები იყიდება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისა და თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სალაროებში.

სიცარიელეში გაშვებული ჰეთ-თრიკი

პედრომ ბელარუსთან საუკეთესო თამაში აჩვენა

მსოფლიო ფეხბურთში სანაკრებო ბატალიების დრო დადგა. 16 ოქტომბერს 2014 წლის მუნდიალის შესარჩევი ციკლის მორიგი მატჩები გაიმართება, თუმცა, ამჯერად 12 ოქტომბერს, პარასკევს გამართულ მატჩებზე ვისაუბროთ და ის ხუთი მთავარი მომენტი გამოვყოთ, რომლებიც ამ თამაშებში იყო.

ჯოვანი ტრაპატონი ფიასკოს მიუახლოვდა

ირლანდია-გერმანიის მატჩის დაწყებამდე ევროპულ მედიაში ბევრს საუბრობენ ბუნდესნაკრებში არსებულ დაძაბულ ვითარებაზე. გიოტცე და კროსი მეტ სათამაშო დროს ითხოვენო, შვაინშტაიგერი ყველას დაუპირისპირდაო... მოკლედ, ბუნდესნაკრებში განხეთქილება მომწიფდა. თუ გერმანია-ირლანდიის მატჩის შედეგით ვიმსჯელებთ (6:1 გერმანიის ნაკრების სასარგებლოდ), უნდა ვივარაუდოთ, რომ იოვახიმ ლიოვმა გუნდში არსებული ყველა კონფლიქტი მოაგვარა. გერმანიის ნაკრებმა, რომელმაც სეზონი არგენტინის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში განცდილი მარცხითა და ავსტრიისა და ფარერების არადამაჯერებელი დამარცხებით დაიწყო, ჯოვანი ტრაპატონის გუნდი მინასთან გაასწორა. ირლანდიის ნაკრებმა ამ მატჩში მხოლოდ 32 წუთს გაძლო. ირლანდიელთა კარში პირველი გოლი 32-ე წუთზე ტონი კროსმა გაიტანა. ამის შემდეგ გადის კიდევ ნახევარი საათი (საუბარია სათამაშო დროზე) და გერმანიის ნაკრებს უკვე ხუთბურთიანი უპირატესობა აქვს. ალბათ ამ თამაშის შემდეგ ჯოვანი ტრაპატონი ირლანდიური და ბრიტანული მედიის კითხვას კიდევ კარგა ხანს ვერ გაბედავს. ის, რომ ტრაპატონის ხელში ირლანდიის ნაკრები ერთ ადგილზე "ბუქსაობს", ირლანდიური მედიისთვის ფაქტია, მაგრამ ასეთი მარცხის პატიება უკვე დაუშვებელია. ტრაპატონის მიერ ირლანდიის ნაკრებში დანერგილ მოსაწყენ და დაცვაზე ორიენტირებულ ფეხბურთს შედეგი აღარ მოაქვს. 73 წლის იტალიელი მწვრთნელი სრულ ფიასკოს მიუახლოვდა და იქნებ სულ მალე თანამდებობაც დაატოვებინონ.

ბელგიის ნაკრები დღითი დღე იზრდება

უკვე ოთხი წელია, რაც ბელგიის ნაკრების ახალგაზრდული შემადგენლობა აღფრთოვანებას იწვევს, თუმცა, ეს ხდება მხოლოდ მანამ, სანამ საკვალიფიკაციო ეტაპის შედეგების დაჯამების დრო დადგება. 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წინ ბელგიის ნაკრები მარკ ვილმოტსმა ჩაიბარა. ჯერჯერობით ბელგიური ფეხბურთის მამების ასეთი არჩევანი ამართლებს. სერბეთის ნაკრების განადგურება გასვლით მატჩში (ბელგიამ ეს თამაში 3:0 მოიგო), შესაძლოა, სწორედ ის შედეგია, რომელიც ბელგიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს მოუტანს. თავად თამაშის შედეგი ოდნავ არალოგიკურია. სერბეთის ნაკრებს გოლის გატანის არაერთი რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ ბელგიელთა კონტრშეტევებმა და მეკარე კურტუას იდეალურმა თამაშმა სერბეთის ნაკრები დაასამარა. სრული კონცენტრაცია დაცვაში და მომენტების ასპროცენტიანი გამოყენება - ეს ბელგიური ფეხბურთის ოქროს თაობის ფეხბურთელებს ყოველთვის აკლდათ. უკანასკნელი წლების განმავლობაში "წითელ ეშმაკებს" არაერთი მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონიათ, მაგრამ ეს გამარჯვება მაინც განსაკუთრებულია.

ინგლისის ნაკრებს ეს სჭირდებოდა

ეშლი კოულის გახმაურებული "ტვიტი", ჯონ ტერის გადადგომა, როი ჰოჯსონის სკანდალური გასეირნება ლონდონის მეტროში (ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მეტროში პირველივე შემხვედრს განუცხადა, რომ რიო ფერდინანდის სანაკრებო კარიერა დასრულებულია) - ასეთი იყო ინგლისური ფეხბურთის ყოველდღიურობა უკანასკნელ ხანს და ინგლისის ნაკრებს დასამშვიდებლად დამაჯერებელი მოგება სჭირდებოდა. საბედნიეროდ, 2014 წლის შესარჩევი ციკლის მორიგ მატჩში ინგლისის მეტოქე სან მარინოს ნაკრები იყო და ფეხბურთის ფუძემდებლებს ამ გუნდის გაცამტვერება არ გასჭირვებიათ. რუნიმ და უელბეკმა სეზონში პირველი სანაკრებო გოლები შეაგდეს. ტომ კლევერლიმ ნაკრებში კიდევ ერთი ბრწყინვალე მატჩი გამართა. დაცვის ცენტრის ახალმა წყვილმა ჯაგელკა-კეიჰილმა კი პრაქტიკისთვის დამატებითი 90 წუთი მიიღო. ალბათ ამაზე მეტს ერთი თამაშიდან ინგლისის ნაკრები ვერც მიიღებდა.

პედროს საუკეთესო მატჩი ვერავინ ნახა

როგორც ჩანს, ესპანეთში ისეთი ფინანსური კრიზისია, რომ ქვეყანაში არ მოიძებნა ერთი ტელეკომპანიაც კი, რომელიც ბელარუს-ესპანეთის მატჩს იყიდდა. ამის გამო ალბათ ყველაზე მეტად დასწყდა გული "ბარსელონას" ფორვარდს პედროს, რომელმაც ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში თავისი საუკეთესო მატჩი გამართა. სამი გატანილი გოლი და ქუსლით გაკეთებული საგოლე გადაცემა. მატჩის შემდეგ ვისინტე დელ ბოსკე ლანძღავდა ესპანურ ტელევიზიებს, თუმცა, გულის სიღრმეში ალბათ კმაყოფილი იყო - საფრანგეთთან მატჩს მისი გუნდი იდეალურ ფორმაში ხვდება. საქართველოში გაჭირვებით მოგებული თამაშის შემდეგ ყველას და ყველაფრის ჩემპიონმა ბელარუსის ნაკრებს გადაუარა (ესპანეთმა თამაში ანგარიშით 4:0 მოიგო).

რაც შეეხება ბელარუსის ნაკრებს, რომელსაც 16 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული გუნდი ხვდება, ამ გუნდის თამაშზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით. უბრალოდ, ბელარუსთა ლიდერის, პედროს ყოფილი თანაგუნდელის ალექსანდრ გლების კომენტარს გაგაცნობთ: "აბა რა უნდა ვთქვა. გამოვედით და ჩავისვარეთ. კარგია, რომ ჩემს მეგობარ სესკ ფაბრეგასს შევხვდი. თამაშზე რა უნდა მეთქვა. უბრალოდ მოვიკითხეთ ერთმანეთი და მაისურები გავცვალეთ".

ლიონელ მესი მხოლოდ ბარსელონაში როდი თამაშობს კარგად

თუ თქვენ ისევ ფიქრობთ, რომ ლიონელ მესი მხოლოდ "ბარსელონაში" თამაშობს მაღალ დონეზე, დროა 2014 წლის მუნდიალის შესარჩევ ციკლში არგენტინის ნაკრების თამაშებს უყუროთ. "ბარსელონას" ვარსკვლავმა აგუეროსთან იდეალურად გამონახა საერთო ენა და მუსრს ავლებს ყველაფერს, რაც გზაზე ხვდება. შაბათს ლიონელ მესის დუბლის წყალობით არგენტინის ნაკრებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა ურუგვაის ეროვნული გუნდი. ეს მესის მეექვსე გოლია მერვე სანაკრებო მატჩში. შესარჩევ ციკლში არც ისე დამაჯერებელი სტარტის შემდეგ ალეხანდრო საბელიას გუნდი იდეალურ ფეხბურთს აჩვენებს, კარლოს ტევესის ადგილი კი ამ გუნდში, როგორც ჩანს, აღარ არის.

ურუგვაის ნაკრებისთვის ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა. საკვალიფიკაციო ეტაპის ხუთ მატჩში ტაბარესის შეგირდებმა მხოლოდ ერთი გამარჯვება მოიპოვეს. თითქმის ორი წელი ურუგვაი სამხრეთ ამერიკის საუკეთესო გუნდი იყო, მაგრამ ახლა, მესის წყალობით, წინ არგენტინა გაიჭრა, ლიონელმა კი დაადუმა ყველა ის კრიტიკოსი, რომელიც ამბობდა, რომ მესი მხოლოდ "ბარსაში" თამაშობს მაღალ დონეზე და ნაკრებში თავს ზოგავსო.

ფორმულა 1 - ფინიშის სწორზე

გიგა გურასაშვილი

ფორმულა 1-ის ჩემპიონატი ფინიშის სწორზე გავიდა. სეზონის დასრულებამდე ოთხი ეტაპი რჩება, ხოლო ერთი კვირის წინათ იაპონიის დიდ პრიზზე განვითარებული მოვლენების წყალობით ჩემპიონობისთვის ბრძოლა მეტად გამწვავდა. "სუძუკას" ტრასაზე დამაჯერებლად გაიმარჯვა რედბულელმა სებასტიან ფეტელმა, ხოლო მოწინავე საფეხურზე მყოფი ფერნანდო ალონსოს "ფერარი" პირველივე მოსახვევში გამოეთიშა რბოლას, რამაც გერმანელს საშუალება მისცა ოთხ ქულამდე შეემცირებინა ესპანელთან ჩამორჩენა.

კორეის დიდ პრიზზე ფეტელის დასამუხრუჭებლად ალონსოს სასწაული უნდა მოეხდინა, მაგრამ ასეთი რამ არ მოხდა. ჭაობში და მიყრუებულ სოფელ იონამში აგებულ ტრასაზე, რომელმაც მესამედ გაუღო კარი სამეფო რბოლებს, იოლი არავისთვის არაფერი არ იყო. გაუმართავი ინფრასტრუქტურის (რაზეც მუდამ წუწუნებენ საჯინიბოები) კომპენსაციას ახდენს ტრასის საინტერესო კონფიგურაცია, რომელიც მრბოლელებს გასწრების საშუალებას აძლევს. ეს ის არის, რის უკმარისობასაც განიცდიან ფორმულა 1-ის გულშემატკივრები.

კორეის დიდი პრიზის კვალიფიკაცია რედბულელმა მარკ უებერმა მოიგო. მეორე შედეგი ჰქონდა მის თანაგუნდელ ფეტელს, რამაც შვეიცარიაში ბაზირებული გუნდი ძირითადი რბოლისთვის პირველ მწკრივში გაამწესა. პირველივე მოსახვევში პელოტონში მნიშვნელოვანი გადაადგილებები მოხდა. ლიდერობა ხელთ იგდო ფეტელმა, მაკლარენელ ლუის ჰამილტონთან ორთაბრძოლაში მესამე საფეხურზე გადაინაცვლა ალონსომ, რომელსაც კვალიფიკაციაში მეოთხე შედეგი ჰქონდა. ერთი საფეხური მოიგო "ფერარის" ბრაზილიელმა მესაჭემ ფელიპე მასამ, რომელმაც კიმი რაიკონენის "ლოტუსს" გაასწრო.

...ფინიშამდე რამდენიმე წრით ადრე, ჭადრაკისებური ალმის აფრიალებამდე, მოწინავეთა ათეულში სტაბილური მდგომარეობა იყო - მრბოლელების განლაგება არ შეცვლილა.

მსოფლიო ჩემპიონმა სებასტიან ფეტელმა რბოლა მოიგო და ჩემპიონთა დავაში პირველ საფეხურზე გავიდა. ახლა მასსა და უკვე ყოფილ ლიდერ ალონსოს შორის სხვაობა ექვსი ქულაა, რომლის ამოქაჩვა სკუდერიელთა ესპანელ მესაჭეს ძალზე გაუჭირდება. როგორც ჩანს, "წითელი ხარების" გერმანელი მრბოლი ლიდერობას არ დათმობს. ეს სეზონი იმითაც გამოირჩევა, რომ გუნდები ძალიან ხშირად ახერხებენ მნიშვნელოვან პროგრესს, რაც მათი მანქანების კონკურენტუნარიანობაზე უმალ აისახება ხოლმე. ახლახან სწორედ ასეთი გარღვევა მოახერხა "რედ ბულმა", რამაც დიდწილად განაპირობა ფეტელის დაწინაურება.

ამ გარღვევის წყალობით, "რედ ბულმა" კონსტრუქტორთა პირველობაზეც შეძლო უპირატესობის მოპოვება. თუ სასწაული არ მოხდა, შვეიცარიული საჯინიბო ამჯერადაც საჩემპიონო დუბლით დაასრულებს სეზონს. კორეული რბოლა ერთადერთი ქულით დაასრულა მათმა ყოფილმა მთავარმა კონკურენტმა "მაკლარენმა", რომელსაც «ფერარიმ" გაასწრო. მომდევნო ეტაპს ორ კვირაში ინდოეთი უმასპინძლებს.

კორეის დიდი პრიზი

იონგამი, 55 წრე
საერთო მანძილი 308.630 კმ. ტრასის სიგრძე 5.615 კმ.

1. სებასტიან ფეტელი (გერმანია, რედ ბული) 1:36:28.651
2. მარკ ვებერი (ავსტრალია, რედ ბული) +8.2
3. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, ფერარი) +13.9
4. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) +20.1
5. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ლოტუსი) +36.7
6. ნიკო ჰულკენბერგი (გერმანია, ფორს ინდია) +45.3
7. რომენ გროჟანი (საფრანგეთი, ლოტუსი) +54.8
8. ჟან-ერიკ ვერნი (საფრანგეთი, ტორო როსო) +69.5
9. დანიელ რიკიარდო (ავსტრალია, ტორო როსო) +71.7
10. ლუის ჰამილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენი) +79.6
11. სერხიო პერესი (მექსიკა, ზაუბერი) +80.0
12. პოლ დი რესტა (ბრიტანეთი, ფორს ინდია) +84.4
13. მიხაელ შუმახერი (გერმანია, მერსედესი) +89.2
14. პასტორ მალდონადო (ვენესუელა, უილიამსი) +94.9
15. ბრუნო სენა (ბრაზილია, უილიამსი) +96.9
16. ვიტალი პეტროვი (რუსეთი, კატერჰემი) +1 წრე
17. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, კატერჰემი) +1 წრე
18. ტიმო გლოკი (გერმანია, მარუსია) +1 წრე
19. შარლ პიკი (საფრანგეთი, მარუსია) +2 წრე
20. ნარაინ კართიკეიანი (ინდოეთი, ისპანია) +2 წრე
გ. კამუი კობაიაში (იაპონია, ზაუბერი) +39 წრე
გ. პედრო დე ლა როსა (ესპანეთი, ისპანია) +39 წრე
გ. ნიკო როსბერგი (გერმანია, მერსედესი) +54 წრე
გ. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, მაკლარენი) +54 წრე

შენიშვნა: გ - გამოეთიშა
უსწრაფესი წრე: მარკ ვებერი - 1:42.037, 54-ე წრე

ჩემპიონთა დავა

1. სებასტიან ფეტელი - 215 ქულა; 2. ფერნანდო ალონსო - 209; 3. კიმი რაიკონენი - 167; 4. ლუის ჰამილტონი - 153; 5. მარკ ვებერი - 152; 6. ჯენსონ ბატონი - 131; 7. ნიკო როსბერგი - 93; 8. რომენ გროჟანი - 88; 9. ფელიპე მასა - 81; 10. სერხიო პერესი - 66; 11. კამუი კობაიაში - 50; 12. ნიკო ჰულკენბერგი - 45; 13. პოლ დი რესტა - 44; 14. მიხაელ შუმახერი - 43; 15. პასტორ მალდონადო - 33; 16. ბრუნო სენა - 25; 17. ჟან-ერიკ ვერნი - 12; 18. დანიელ რიკიარდო - 9

კონსტრუქტორთა თასი

1. რედ ბულ-რენო - 367 ქულა; 2. ფერარი - 290; 3. მაკლარენ-მერსედესი - 284; 4. ლოტუს-რენო - 255; 5. მერსედესი - 136; 6. ზაუბერ-ფერარი - 116; 7. ფორს ინდია-მერსედესი - 89; 8. უილიამს-რენო - 58; 9. ტორო როსო-ფერარი - 21

შპს ,,საფეხბურთო კლუბი სიონი" აცხადებს განმეორებით აუქციონს:

შპს ,,საფეხბურთო კლუბ სიონის" საკუთრებაში არსებულ შემდეგ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე: მერსედეს-ბენც 0303, გამოშვების წელი 1987, ფერი თეთრი, ტიპი ავტობუსი; (ადგილმდებარეობა სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ იანეთი); სახელმწიფო ნომრით AKA144; მერსედეს-ბენცი 508 D, გამოშვების წელი 1992, ფერი ყვითელი 4/8; ტიპი ავტობუსი; სახელმწიფო ნომრით GXG 778;

მერსედეს-ბენც 0303	
საწყისი გასაყიდი ფასი	1624 ლარი
ბეს ოდენობა	487,20 ლარი
მონაწილის ბილეთის ფასი და სავაჭრო ბიჯის ოდენობა	მონაწილის ბილეთის ფასი 10 ლარი ბიჯის ოდენობა 81,20 ლარი
მისამართი:	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ, იანეთი
მერსედეს-ბენცი 508 D	
საწყისი გასაყიდი ფასი	1204 ლარი
ბეს ოდენობა	361,20 ლარი
მონაწილის ბილეთის ფასი და სავაჭრო ბიჯის ოდენობა	მონაწილის ბილეთის ფასი 10 ლარი ბიჯის ოდენობა 60,20 ლარი
მისამართი:	ქ. ბოლნისი აღმაშენებლის ¹9
განცხადების მიღების ადგილი:	ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის ქ. ¹115
საბანკო რეკვიზიტები:	ს|კ 225376189 ს.ს. ლიბერთი ბანკის, ბოლნისი ფილიალი; ბ/კ LBRTGE22 ა/ა GE97LB0113121674482003

აუქციონი ჩატარდება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-11 დღეს (26 ოქტომბერი) მისამართზე ქ ბოლნისი ს.ს. ორბელიანის ქ¹115. განაცხადის მიღება წარმოებს გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-11 კალენდარული დღის 12 საათამდე (26 ოქტომბერი). იმ შემთხვევაში თუ განაცხადის მიღების მე-11 დღე და აუქციონის ჩატარების დღე დაემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და აუქციონი ჩატარდება მომდევნო სამუშაო დღეს - ამ ცნობაში მითითებულ დროში.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:ა). ,,ბეს" და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები; ბ). პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი ;გ). იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლებს (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ბოლო მდგომარეობით), პარტნიორთა კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმს. დ). ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ ქ. ბოლნისი ს.ს. ორბელიანის ქ¹115, ტელ: 551 59 59 93; სააუქციონო კომისია;

სონი, რუდი, ბარსელონა

ზურაბ თალაკვაძე

ევროლიგა გაიხსნა. თავისი ფავორიტებით, არაფავორიტებით, ჩვენი პერსონალური ფავორიტებით, მანუჩარ მარკოიშვილთან, ვიკა სანიკიძესთან და გიორგი შერმადინთან ერთად. ცსკა ისევ ცსკაა და ეტორე მესინას მილიონერებმა მოსკოვში "ლიეტუვოს რიტასთან" არითმიით ირბინეს, თითქმის აირტყეს და ცსკა მალე მოუმატებს. იქ მესინაა. იქ ნენად კრსტიჩია. იქ მაგარი კუში უნდა მოხსნან. "კანტუმ" თავის დარბაზში სადღაც ბურთი ვერ აიღო, შეცდომები შეცდომებით გადაფარა და "ოლიმპია" ვერ გაშიფრა (71:84). "კანტუდან" ცსკაში კარგი სერბი და "არმანიში" ჯანლუკა ბაზილე წავიდნენ. სერიოზული მინუსი. მარკოიშვილმა 13 ქულა ჩაუშვა ყულაბაში. "სიენა" სხვა გუნდია. სანიკიძე ჯერ აზრზე მოდის. ვიკამ "ალბასთან" (82:92) 6 ქულა აიღო. "სიენა" გაიხსნება. უბრალოდ, ეს პროცესი ცოტა სწრაფად უნდა დაიწყოს. ან ძალიან სუსტი ჯგუფიდან ("მაკაბი", "უნიკახა", "ალბა", "პროკომი", "შალონი") შემდეგ ეტაპზე სხვები გაძვრებიან. გიო შერმადინმა 12 საჯარიმო გაუშვა, 9 ჩააგდო, ძალიან კარგი იყო. ნიკოლა მიროტიჩთან ერთად, გიომ ამ ტურში ყველაზე ბევრი საჯარიმო გაუშვა. მიროტიჩის შემდეგ (ემირ პრელდჟიჩთან ერთად) შერმადინმა ყველაზე ბევრი საჯარიმო ზუსტად შეასრულა. ბონუსი. გიოც ბონუსია და შერმადინი გენიოსთან, დევიდ ბლატთან თამაშობს. დევიდთან ერთად "მაკაბიც" ბლატია. მესინამ მილოშ ტეოდოშიჩს ყური უნდა აუწიოს. სერბმა "ლიეტუვოს რიტასთან" ზუსტ პასზე (3) მეტი შეცდომა (5) დაუშვა. დღეს პირველი ტურის სიმბოლური გავიაროთ. ჩვენი სიმბოლური და იდეაში, თქვენც უნდა მოგეწონოთ. პირველ ხუთ კაცში ხუთი კარგი ბიჭი შევიდა.

I. **ზორან პლანინიჩი** (ხიმკი)
აიღო: 17 ქულა, **8** პასი, **6** მოხსნა, **2** ჩაჭრა.

ძველი "ნიუ ჯერსი" ჯეისონ კიდის პრივატული პროექტი იყო. კიდი ხსნიდა, ჭრიდა, ქაოსს ლამაზი ჯაზით ფარავდა და იმ ქაოსში კიდისგან რაღაცებს ზორან პლანინიჩიც ითვისებდა. ხორვატი ფლეიმეიქერი კალათბურთის ვივალდისგან ამერიკულად აზროვნებას, კორექტულ აგრესიას და თვალებით კაცის მოტეხვას სწავლობს. ამერიკაში ზორანი სამი სეზონით რჩება და მერე იწყება მომთაბარე მილიონერის ევროკარიერა. ორი კარგი სეზონი ესპანეთში, ტაუსთან ერთად. ორი ისე რა სეზონი რუსეთში, ცსკასთან ერთად. ორი ნორმალური სეზონი იქვე, რუსეთში, "ხიმკისთან" ერთად და ამ ევროლიგას პლანინიჩი პატარა აკუსტიკური შედევრით ხსნის. მშვიდად, ისე რომ სხვები არ შეაწუხოს, ხორვატი 31 წუთში თითქმის ყველაფერს აგდებს თამაშიდან (10/7 2 pts, 1/1 3 pts) და თითქმის კიდია. "ხიმკიმ" რამდენიმე მონაკვეთი ვერ გაქაჩა, ზარმაცი ოროსანივით ირბინა და იმ მომენტში "ფენერბახჩემ" გადახია ზორანის გუნდი. შარშან პლანინიჩი ევროთასის პირველი კაცი იყო.


სონი უიმსმა "ლიეტუვოს რიტასთან" ბოლო ორ წუთში აკრიფა

ევროლიგის შემდეგ ყველაზე პრესტიჟულ საკალათბურთო უბანში ზორანმა ფინალის MVP წამოიღო, "ხიმკიმ" ტურნირი მოიგო და პლანინიჩმა კარგი კონტრაქტი მიიღო. "ხიმკი" მეორე ეშელონის კარგი გუნდია. ზორანი ყველა დონეზე კარგი ბიჭია. ჯეისონ კიდის აკადემიიდან სულ კარგი ბიჭები მოდიან.

II. **რუდი ფერნანდესი** (რეალი)
აიღო: 23 ქულა, **4** მოხსნა, **3** ჩაჭრა, **1** პასი, **1** დაფარება

ფერნანდესმა თავისი გუნდი გაშანსა. რუდი ქულების მანქანა, სადისტი სლეშერი და უნივერსალი ტიპია. ესპანეთის ნაკრებში ეს მიქსტი პო გასოლის ლექციებით, მეორე გასოლის კუნთებით, სენიორ კალდერონის თვალებით და ნავაროს სროლით იფარება. იქ რუდი მეოთხე, მეხუთე ოფცია და მაინც ძალიან საჭირო, ყველა ვარიანტში გასასროლი ტყვიაა. ამერიკაში ფერნანდესი შუთერი გახდა. შუთერი არაშუთერის ინტელექტით და ნორმალური ჯიბის ფულით (2.5 მილიონი დოლარი). პირველ სამ სრულ ამერიკულ სეზონში ("პორტლენდში") ფერნანდესს უფრო მეტი სამიანი აქვს ნასროლი, ვიდრე - არასამიანი (2008/09 - 159:109, 2009/10 - 98:62, 2010/11 - 116:97). შარშან ბიჭი "დენვერში" გაცვალეს და რუდი ვერ გაიხსნა, სწრაფ გუნდში ერთჯერადი პერსონაჟი იყო. ფერნანდესმა ესპანეთის ნაკრების გამოცდილება, ამერიკული ბოლმა და დიდი დოზით უნივერსალიზმი პატარა ზურგჩანთაში ჩაყარა და "რეალში" დაბრუნდა. "რეალმა" რუდის ამერიკაში გაფიცვის დროს დაუძახა და ფერნანდესმა წინა ევროლიგის 8 ტესტში 11.5 ქულა დასვა, ევრობასკეტს შეეჩვია, "რეალი" გაიცნო. ეს ფერნანდესი უკეთესია. "რეალი" რუდის გუნდია. "პანათინაიკოსთან" "რეალმა" ცუდი პირველი ტაიმის (35:44) მერე მოუმატა და 85:78 მიანგრია მწვანე გუნდი. რუდიმ 15/8 სროლა გამოიყენა, დაცვაში ბრიუს ბოუენი იყო. ფერნანდესი ამ ევროლიგის კირილენკო იქნება. "რეალმაც" უნდა მოუმატოს.

III. **სონი უიმსი** (ცსკა)
აიღო: 14 ქულა, **2** პასი, **1** მოხსნა, **1** დაფარება

შარშან, 23 ნოემბერს, სონი უიმსმა ცსკას 22 ქულა აარტყა. ის უიმსი "ჟალგირისში" აგვარებდა ბევრ რაღაცას. იმ უიმსს "ჟალგირისი" ებარა და ის უიმსი იმ უბანში იდგა. ძველი ცსკა კირილენკოს ინტელექტის და შვედის სწრაფი აზროვნების ნაპალმი იყო. ის ნაპალმი ფინალში "ოლიმპიაკოსმა" გადაფარა და კირილენკო ამერიკაში ("მინესოტაში") წავიდა. თან შვედიც წაიყვანა. და ცსკა შეიცვალა. დააბრუნეს მწვრთნელი-გენიოსი-დიქტატორი იტალიელი ეტორე მესინა. იყიდეს აარონ ჯექსონი. მანუჩარ მარკოიშვილს წაართვეს ვლადიმირ მიცოვი. თურქეთიდან ბოსებს წამოაღებინეს ზორან ერჩეგი. მილანიდან მოდის დრიუ ნიკოლასი. რამდენიმე სერიოზული კაცი გუნდში დარჩა და მესინამ უიმსიც შეუკვეთა. და სონი მოსკოვშია. მესინამ როტვეილერი მიიღო.

"ლიეტუვოს რიტასს" ცსკა მშვიდად უნდა უგებდეს. ცსკამ თითქმის წააგო და ევროლიგის ფავორიტი უიმსმა გადაარჩინა. ბოლოსწინა წუთი, "რიტასი" 71:67 იგებს. უიმსმა აიღო ბურთი, დაიძრა სამწამიანში, შევიდა, ისროლა, ჩააგდო, მიარტყეს - 69:70+1 ფოლი ლეონ რადოშევიჩს. უიმსმა ის ქულაც აიღო და ცსკა 1 ქულას აგებს. "რიტასის" შეცდომის შემდეგ ბურთი უიმსთან მიდის. სონი ასიანია - 72:71, ცსკა იგებს. "რიტასის" ლიდერი, სეიბუტისი, სამიანზე ადის და უიმსმა სეიბუტისს დაუფარა. სონიმ ერთი საჯარიმოც ათიანში გაუშვა. 6 ქულა ბოლო წუთ-ნახევარში. Brutal. As always. სონი უიმსის თემა. ცსკამ ის თამაში 75:73 წამოიღო.

IV. **ემირ პრელდჟიჩი** (ფენერბახჩე)
აიღო: 20 ქულა, **4** მოხსნა, **3** პასი, **2** ჩაჭრა.

"ფენერი" ევროლიგის "ჩელსია". ძველი "ჩელსი", რომანი მილიონებით რომ აწყობდა. ან ახალი "მანჩესტერ სიტი", რომელიც თითქმის ის "ჩელსია". პრელდჟიჩი ამ გუნდის მეორე ხუთეულში ზის. ნორმალური ფორვარდი კარგი ფეხებით და ბიჭი ფიქრობს, კლასიკურ ევრობასკეტს უბერავს. "ხიმკისთან" ფორვარდმა დაგლიჯა ზონური დაცვა, ჩააგდო ჩასაგდები (4/4 საშუალო, 2/1 სამიანი, 10/9 საჯარიმო) და ევროლიგამ ემირს MVP აჩუქა. ევროლიგაზე პრელდჟიჩი სულ "ფენერშია" (2007/08-today). შარშან ძალიან ცუდი სეზონი ჰქონდა - 36/9 (25.0 %) სამიანი, 64/22 (34.4) თამაშიდან, პასიური, უმუღამო დაცვა. პრელდჟიჩი ცოტა პასიური, ცოტა უემოციო იყო და მერე ბევრი რაღაც შეიცვალა. გაიზარდა ემირის დრო თურქეთის ნაკრებში. ევროამბებში, საკვალიფიკაციოზე, ემირმა 30.1 წუთში 9.4 ქულა, 5.0 პასი და 2.9 მოხსნა აკრიფა. 5.0 პასი ფორვარდისთვის მთქმელი თემაა. ემირი სოლიდურ დროში 1.3 შეცდომას უშვებს. აკურატული bastardo. პრელდჟიჩი იტალიასთან ორივე ტესტში კარგია. თურქეთმა ორივე 40 წუთი წააგო, მაგრამ ემირმა შეასრულა - 14+4 პასი+3 მოხსნა და 12+4 პასი+3 მოხსნა. პროცესში, დანილო გალინარის დისკომფორტს უქმნიდა. ემირი რეალური და საინტერესო პერსონაჟია. "ფენერში" ბევრი ჯოკერი დაირტყეს. "ფენერმა" "ხიმკი" 92:80 დალეწა.

V. **ანტე ტომიჩი** (ბარსელონა)
აიღო: 12 ქულა, **9** მოხსნა, **4** პასი, **2** დაფარება, **1** ჩაჭრა.

"რეალში" ტომიჩი კლასიკური მეხუთე ნომერია. "ბარსელონაში" ტომიჩი კარგად გაერთობა. პირველ ხუთეულში ანტესთან პროფესორი ერაზემ ლორბეკი დგას. ლორბეკი კლასიკაა. მეორე ხუთეულიდან ტომიჩს ნეით ჯავაი ცვლის და "ბარსელონა" ინტელექტს ოვალური აგრესიით (ნეითის ფოტო დაგუგლეთ) ცვლის. "ბარსელონაში" ევროსადილზე მთავარი სადღეგრძელოს თქმა მოენატრათ და თუ ეს გუნდი არ დაილეწება და ოთხთა ფინალამდე მივა, იქ "ბარსელონა" ხერესით ბევრ საინტერესო სადღეგრძელოს იტყვის. მონატრების, კარგი ბიჭების და მეგობრების და თუ ანტე თავის კალათბურთს ითამაშებს, ბოლო სადღეგრძელო მისტერ ტომიჩის იქნება. "რეალიდან" ბარსელონაში წამოსვლა კალათბურთში ფეხბურთივით არ პიარდება. გადახვედი? მოსულა, ითამაშე, მიდი, შეუბერე. ტომიჩმა კარგად გახსნა სეზონი. "ბარსელონა" ჩვეულებრივ "ბროზეზე" გავიდა და ხავიერ პასკუალმა ყველა ათამაშა. ტომიჩმა 10/5 სროლა ჩასვა და არასრულ 25 წუთში შეცდომა არ დაუშვა. ბრავო!

"ბარსელონაში" დგანან ხუან ნავარო, ჯო ინგლესი, სი ჯეი უოლასი, მარსელინიო უერტასი, ვიქტორ სადა, შარუნას იასიკიავიჩუსი და პიტ მიკეალი. ტომიჩი კარგ გუნდში მივიდა. კარგი პერსპექტივით და კარგი ქეშით. დანარჩენს დრო მოიტანს. "ბარსელონა" "ბროზესთან" გაერთო, 72:60 მოიგო და ნაკლები დასვა.

A ჯგუფი: კანტუ-**ოლიმპია 71:84**, **ფენერბახჩე**-ხიმკი **92:80**, **რეალი**-პანათინაიკოსი **85:78**.

B ჯგუფი: სიენა-**ალბა 82:92**, **შალონი**-პროკომი **81:74**, **ოლიმპიაკოსი**-კახა ლაბორალი **85:81**.

C ჯგუფი: **ჟალგირისი**-ჩედევიტა **90:62**, **არმანი**-ეფეს პილზენი **80:75**, **ოლიმპიაკოსი**-კახა ლაბორალი **85:81**.

D ჯგუფი: **ცსკა**-ლიეტუვოს რიტასი **75:73**, **ბარსელონა**-ბროზე **72:60**, **ბეშიქთაში**-პარტიზანი **81:65**.

ცინცაძის მეოთხე გამარჯვება

გიორგი ცინცაძის გუნდმა უკრაინის სუპერლიგაში მორიგი გამარჯვება მოიპოვა. კიევის "ბუდიველნიკმა" ამჯერად ივანა ფრანკოვსკის "გოვერლა" 92:84 დაამარცხა და უკრაინის ჩემპიონატს დაუმარცხებლად, ზაპოროჟიეს "ფეროსთან" ერთად ლიდერობს. "ბუდიველნიკის" მსგავსად, ოთხი მატჩიდან ოთხი გამარჯვება აქვთ ფეროელებსაც და ეს გუნდები I-II ადგილებს იყოფენ.

"გოვერლასთან" მატჩში ცინცაძემ 16:22 წუთს ითამაშა. ქართველი უკანახაზელი ამჯერად სასტარტო ხუთეულში არ იყო. ცინცაძემ 4-დან 4 საჯარიმო და 3-დან 2 ორიანი ჩააგდო, 2 სამიანი კი ააცილა. შედეგად, საქართველოს ნაკრების წევრმა 8 ქულა დააგროვა, რასაც 3 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაყოლა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა. კიეველთაგან 21 ქულით საუკეთესო იყო ლეო ლაიონსი.

მომდევნო ტურში ცინცაძის გუნდი "გალიჩინას" შეხვდება. მატჩი კიევში, 14 ოქტომბერს გაიმართება.

რობინიოს "მილანში" დარჩენა სურს

ბრაზილიის ნაკრებისა და იტალიური "მილანის" ფორვარდმა კომენტარი გააკეთა მის შესაძლო ტრანსფერზე "სანტოსში".

"სანტოსთან" ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, იყო თუ არა რეალური შეთავაზება ამ გუნდიდან. "მილანში" თავს კარგად ვგრძნობ და კიდევ ათი წლის განმავლობაში სიამოვნებით დავრჩებოდი ამ გუნდში. აქ ყველა პირობას გიქმნიან იმისთვის, რომ თავი მეფედ იგრძნო. ამიტომ არ მესმის ზლატან იბრაჰიმოვიჩის, რომელმაც "მილანი" პსჟ-ზე გაცვალა", - აცხადებს რობინიო.

ბუფონი და ჯოვანიკო დანიასთან საეჭვოა

იტალიის ეროვნული ნაკრების მეკარეს ჯანლუიჯი ბუფონს და იტალიელთა ნახევარმცველ სებასტიან ჯოვანიკოს ტრავმები აწუხებთ. შესაძლოა, ამ დუეტმა დანიასთან მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი გამოტოვოს.

34 წლის მეკარეს კუნთი აწუხებს. სავარაუდოდ, "სკუადრა აძურას" თავკაცი ჩეზარე პრანდელი ბუფონს დასვენების საშუალებას მისცემს. თანაც, კვირის თავზე, ტურინის "იუვენტუსს" მნიშვნელოვანი მატჩი ელის "ნაპოლისთან" და ვეტერან მეკარეს ტრავმის გართულება არ სურს.

დანიასთან სამშაბათს გასამართ მატჩში, სავარაუდოდ, ბუფონის ადგილს მორგან დე სანკტისი ან სალვატორე სირიგუ დაიკავებს.

მოურინიო "ბარსელონასა" და "რეალის" შესახებ

სანაკრებო პაუზით ისარგებლა "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ და მოკლე კომენტარი გააკეთა "რეალისა" და "ბარსელონას" შესახებ.

"არ ვამბობ, რომ "რეალი" "ბარსელონაზე" უკეთესია, თუმცა, უარესიც რომ არ არის, აშკარაა. ეს ორი გუნდი ერთ დონეზეა. უბრალოდ, მათ სხვადასხვა სათამაშო სტილი აქვთ", - ამბობს მოურინიო.

35 მილიონი ვენგერისთვის

ლონდონის "არსენალს" რომ გაძლიერება სჭირდება, ეს აშკარაა. თუ ლონდონურ გრანდს ინგლისის ჩემპიონობისთვის ბრძოლა სურს, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში რამდენიმე ფეხბურთელი მაინც უნდა დაიმატოს.

ბრიტანული გამოცემის, Daily Mail-ის ინფორმაციით, "მეთოფეებს" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ტრანსფერებზე 35 მილიონი გირვანქა ექნებათ. არსენ ვენგერს ჯერ არ გადაუწყვეტია, კონკრეტულად რომელ ფეხბურთელებზე შეაჩერებს არჩევანს. ჯერჯერობით ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ "მეთოფეებს" შემტევი ხაზის გაძლიერება სურთ.

პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში, 7 ტურის შემდეგ, "არსენალი" მე-7 ადგილზეა და ლიდერ "ჩელსის" 7 ქულით ჩამორჩება.

მასკერანო: "მესისთან თამაში პრივილეგიაა"

არგენტინის ნაკრებისა და "ბარსელონას" ფეხბურთელი ხავიერ მასკერანო აცხადებს, რომ ლიონელ მესისთან თამაში პრივილეგიაა.

"ჩვენ ყველას გაგვიმართლა, რომ მესის გვერდით ვთამაშობთ. მე გავიზარდე დიეგო მარადონას ფეხბურთზე და ვთამაშობ ლიონელ მესის გვერდით. ეს უდიდესი პრივილეგიაა, რომლითაც ერთეულები სარგებლობენ," - განაცხადა მასკერანომ არგენტინა-ურუგვაის მატჩის შემდეგ, რომელიც "ალბისელესტემ" მესის დუბლის წყალობით ანგარიშით 3:0 მოიგო.

ბუკმეკერებმა ბელარუს-საქართველოსთვის კოეფიციენტები ჩამოყარეს

ესპანეთთან 4:0 წაგებული მატჩის შემდეგ ბელარუსის ნაკრების თავკაცმა გეორგი კონდრატიევმა განაცხადა, რომ საქართველოს ნაკრებს შემტევ ფეხბურთს დაუპირისპირებენ და მხოლოდ გამარჯვებისთვის ითამაშებენ.

ფინეთთან 1:1 დასრულებული შეხვედრის შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ სფფ-ის ოფიციალურ ვებგვერდთან საუბარში აღნიშნა: "ბელარუსში უფრო რთული მატჩი გველის. მთავარია, ფეხბურთელებმა კარგად დაისვენონ. ისინი კი, ვისაც დღეს არ უთამაშია, უკეთ მოემზადონ.

...იმედია, დარჩენილ სამ დღეში ამას შევძლებთ - გავალთ და მომდევნო თამაშს მოვიგებთ. თანაც, ბელარუსები ისევ უძულოდ არიან და თუ 16-ში წარმატებას მივაღწევთ, მიზანი ნაწილობრივ შესრულებული გვექნება და ჯგუფში მესამე ადგილზე დავმკვიდრდებით".

ამასობაში ბელარუს-საქართველოს 16 ოქტომბრის მატჩის წინ მსოფლიო საბუკმეკერო კანტორებმა კოეფიციენტები გამოაქვეყნეს. აქაც, ისევე როგორც ფინეთთან, ამ მხრივ დიდი ცვლილებები არ არის - მასპინძლები ფავორიტები არიან. საქართველოს შესაძლო მოგება კი 3,3-დან 4,0-მდე მერყეობს.

ბელარუს-საქართველოს მატჩს ავსტრიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. მთავარი მსაჯი რობერტ შიორგენჰოფერი იქნება.

მატჩი 16 ოქტომბერს თბილისის დროით 20 საათზე მინსკის "დინამოს" სტადიონზე დაიწყება.

bet-at-home:	1,85 3,35 4,0
bwin:	1,9 3,35 4,0
ladbrokes:	2,0 3,3 3,75
william hill:	2,15 3,1 3,4
unibet:	2,1 3,3 3,3
sportingbet:	1,95 3,4 3,8

"იბერია-სტარი" ოთხთა ფინალშია

გიორგი ბახტაძის ფოტო

ფუტსალში საქართველოს ჩემპიონმა "იბერია სტარმა" ელიტ-რაუნდის ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში დაამარცხა ლისაბონის "ბენფიკა" - 7:4 და უეფას ფუტსალის თასის ოთხთა ფინალში გავიდა. თბილისურ ელიტ-რაუნდში ოთხი გუნდი მონაწილეობდა: "იბერია სტარი", "ბენფიკა", უნგრული "დიორი" და იტალიური "ლუპარენსე". იბერიელებმა პირველ ტურში იტალიელები გაანადგურეს - 6:1, შემდეგ კი უნგრელებთან ფრედ დაასრულეს შეხვედრა - 2:2.

ბოლო ტურის წინ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ "ბენფიკასთან" შედეგიანი ფრის შემთხვევაში ოთხთა ფინალში პორტუგალიელები გადიოდნენ. 0:0, 1:1 ან 2:2-ზე კი უნგრელები. შესაბამისად, საქართველოს ჩემპიონს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა. ბრაზილიელებით დახუნძლულმა "იბერია სტარმა" თავიდანვე შეუტია მეტოქეს და მატჩის დებიუტში დაწინაურდა. პორტუგალიელებმა, რომლებიც ფიფას რეიტინგში პირველ ადგილზე არიან, გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ იბერიელებმა პირველი ტაიმის დასრულებამდე კიდევ სამჯერ აიღეს მეტოქის კარი, რასაც "ბენფიკამ" ერთი გოლით უპასუხა და ტაიმი საქართველოს ჩემპიონის გამარჯვებით - 4:2 დასრულდა.

მეორე ნახევარი მასპინძელთათვის ცუდად დაიწყო. პორტუგალიელებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს (4:4) და ამ შედეგით სწორედ ისინი გადიოდნენ ოთხთა ფინალში. თუმცა, იბერიელთა აქტიურობამ შედეგი გამოიღო. ხელით თამაშისთვის პორტუგალიელთა კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც ზუსტად გამოიყენა აუგუსტომ. ამ გოლით მან დუბლი შეასრულა (სულ ტურნირზე 4 გოლი გაიტანა) და საქართველოს ჩემპიონი დაწინაურდა 5:4. "ბენფიკა" იძულებული გახდა შეტევაზე გადასულიყო, რითიც იბერიელებმა კარგად ისარგებლეს და თამაშის დასრულებამდე კიდევ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი. საბოლოო ჯამში, "იბერია სტარმა" - 7:4 მოიგო, ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა და ოთხთა ფინალის საგზური მოიპოვა.

ეს ქართული გუნდისთვის დიდი გამარჯვებაა. ოთხთა ფინალში საქართველოს ჩემპიონთან ერთად ითამაშებენ ესპანეთის "ბარსელონა", მოსკოვის "დინამო" და ყაზახეთის "კაირათი".

უცნობი
გრიგოლ
რობაქიძე

დაგვიკავშირდით:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

გამომცემლობა არტანუჯი

პირველად

გრიგოლ რობაქიძის უცნობი
შემოქმედებითი მემკვიდრეობა
ქართულ ენაზე